

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ხ ა ტ ი ა ტ ა კ ი ძ ე

**დანიელ ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხის“ სახისმეტყველების
დისკურსი ეპოქათა ცვლილების კვალდაკვალ**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ფილოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მანანა თავდგირიძე - ასოცირებული პროფესორი

ხიჭაური

2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია ჩემი ორიგინალი ნამუშევარი, ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ და ნააზრევ შეხედულებებს კონკრეტული საკითხის მიმართ. ნებისმიერი აქამდე გამოქვეყნებული სხვა ავტორების მიერ ციტირებული სიტყვები წარმოდგენილია ყოველგვარი წესების დაცვით.

თარიღი: 10.07.2021

სახელი-გვარი: ხატია ტაკიძე

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის „დანიელ ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხის“ სახისმეტყველების დისკურსი ეპოქათა ცვლილების კვალდაკვალ“ ეძღვნება დანიელ ჭონქაძის მხატვრული ნაწარმოების სრულფასოვნად და თანამედროვე ლიტერატურული ტენდენციების გათვალისწინებით წარმოჩენას. ნაშრომში წარმოდგენილია როგორც დანიელ ჭონქაძის ლიტერატურული ცხოვრება, პოლიტიკური მოვლენები ასევე განხილული და გაანალიზებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნაწარმოების მათ სასარგებლოდ გამოყენებისა და მათ ფონზე თანამედროვე მხატვრული სიტყვის განვითარების პროცესები.

დანიელ ჭონქაძემ თავისი ერთადერთი ნაწარმომოებით დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ლიტერატურაში. „სურამის ციხეზე“ არაერთმა კრიტიკოსმა გამოთქვა განსხვავებული და საინტერესო მოსაზრებები. ნაშრომში გაანალიზებულია მათ მიერ გამოხატული პოზოციები ნაწარმოების მთავარი იდეისა და მხატვრული ღირებულებების შესახებ.

Annotation

Master thesis "Daniel Chonkadze's story" „Surami Fortress“ Discourse of Characterism in the Footsteps of Changing Epochs " is dedicated to the full-fledged presentation of Daniel Chonkadze's artistic works and taking into account modern literary tendencies. The paper presents the literary life and political events of Daniel Chonkadze, as well as discusses and analyzes the processes of the use of the work by the Soviet authorities in their favor and the development of modern artistic speech against their background.

Daniel Chonkadze established his place in Georgian literature with his only work. Many critics have expressed different and interesting opinions about „Surami Fortress.“ The paper analyzes their positions on the main idea of the work and its artistic values.

სარჩევი

1.ანოტაცია.....	გვ.4
2.შესავალი.....	გვ.6
3.თავი I. დანიელ ჭონქაძე და XIX საუკუნის 40-50-იანი წლების საქართველო	გვ.9
4. თავი II. სოციალური პრობლემატიკა დანიელ ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხეში“	გვ.19
5.თავიIII. „სურამის ციხე“ და ქართველი კრიტიკოსები	გვ.37
6. თავი IV. ნარატივის მხატვრული ფუნქცია დანიელ ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხეში“	გვ.57
7. დასკვნა	გვ.63
8. გამოყენებული ლიტერატურა	გვ.68

შესავალი

ქართული მხატვრული ლიტერატურა ქვეყნის მცველის ისტორიულ მისიას არასდროს დალატობდა. დრო-ჟამის სიმუხთლის მიუხედავად, ყოველთვის პირნათლად და უანგაროდ ასრულებდა ეროვნული და მორალურ-ზნეობრივი მეცხოვნის მოვალეობას. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, სწორედ ის იყო დამპყრობელ იმპერიებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლათა გადალახვის საიდუმლოს ბალავარი. ეს განაპირობებდა ბოლო საუკუნეების განმავლობაში ხელისუფალთა მიერ ქართული მწერლობის დამორჩილებისა და მოთვინიერების შეუქცევად პროცესს. ამიტომაც, დანიელ ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხის“ პოლიტიკური ნიშნით განიხილებოდა დინების საწინააღმდეგოდ. მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური არის გასულ საუკუნის საქართველოში მიმდინარე ლიტერატურული პროცესის გათვალისწინებით ზემოთ აღნიშნული მხატვრული ნაწარმოების სრულფასოვნად და პირუთვნელად გაანალიზება და თანამედროვე ლიტერატურული ტენდენციების გათვალისწინებით წარმოჩენა.

სამაგისტრო ნაშრომის „დანიელ ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხის“ სახისმეტყველების დისკურსი ეპოქათა ცვლილების კვალდაკვალ“ მიზანია, შეისწავლოს და წარმოაჩინოს საბჭოთა კრიტიკის მიერ მხატვრული ნაწარმოების დიქტატორული ხელისუფლების სასარგებლოდ გამოყენებისა და მწერლობის საბჭოთა იდეოლოგიის ტრიბუნად ქცევის მცდელობის პროცესი. სურათის ნათლად წარმოსაჩენად, სამაგისტრო ნაშრომში განხილულია როგორც დანიელ ჭონქაძის მოღვაწეობის პერიოდის ლიტერატურული ცხოვრება და თანმდევი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, ასევე გაანალიზებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი ცენზურა-კრიტიკის ნორმატივები და თანამედროვე მხატვრული სიტყვის განვითარების პროცესები.

ლიტერატურული პროდუქციის თვალსაზრისით, მეცხრამეტე საუკუნის საქართველო მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია. ამ ეპოქაში ქართულმა მხატვრულმა სიტყვამ განვითარების გარკვეული საფეხურები განვლო. წარმოიშვა

არაერთი ლიტერატურული მიმდინარეობა. საგულისხმო ნამატი ქართულმა ლიტერატურამ სწორედ, მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მიიღო. ამ დროს ქართული ლიტერატურის ასპარეზზე გამოდის ისეთი სახელგანთქმული მწერლები როგორცაა: გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი, რაფიელ ერისთავი, დანიელ ჭონქაძე.

XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან იწყება ქართულ ლიტერატურაში ახალი ეპოქა. თავს იჩენს ახალი თემები და იდეები, ფეხს იკიდებს რეალისტური მიმართულებები. დანიელ ჭონქაძემ თავის თანამედროვეებთან ერთად, მოამზადა ნიადაგი კრიტიკული რეალიზმისთვის. პირველ რიგში კი აღსანიშნავია სოციალური და ეროვნული საკითხების, ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ წარმართული მოტივები.

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, როგორც კრიტიკოსთა უმრავლესობა ფიქრობდა, ბატონყმური ურთიერთობის ისეთი მძაფრი კრიტიკაა, რომლის მსგავსიც ქართულ მწერლობაში არ დაწერილა. ამ ნაწარმოებით დანიელ ჭონქაძემ ამხილა საქართველოში არსებული სოციალური და ეროვნული პრობლემები. თხზულებაში აღწერილია გლეხთა მძიმე ცხოვრება, რომელიც სავსე იყო ტანჯვითა და უბედურებით. „სურამის ციხემ“ გამოქვეყნებისთანავე დიდი პოპულარობა ჰპოვა. მის შესახებ საუბრობდა ყველა. ეს იყო ნაწარმოები, რომლის ირგვლივ წარმოიშვა არაერთი განსხვავებული და საინტერესო პოზიციები.

თუ კრიტიკოსთა გარკვეულ ნაწილს დაუფუჯერებთ, ამ ნაწარმოებში არ უნდა ვეძიოთ მხოლოდ ბატონყმური ურთიერთობის საშინელებანი. ეს თემა ნაწარმოების იდეის ერთ-ერთი კომპონენტია.

მაშინ რისი ჩვენება სურდა მწერალს გარდა ბატონყმური ურთიერთობების საშინელებებისა?

ეს არის ადამიანის „ცოდვის პრობლემა“.

ცოდვას აჩენს როგორც ზნეობრივი დანაშაული, ისე სოციალური უსამართლობა. საბოლოო ჯამში კი ეს ყოველი აუცილებლად გამოიწვევს ბოროტების მთლიანი მოქმედების ჯაჭვსა და უდანაშაულო მსხვერპლებს. ნაწარმოების მსგავს ქრილში განხილვა მეტად საინტერესოა, რადგანაც კრიტიკოსთა უმრავლესობას დიდი ხნის განმავლობაში „სურამის ციხის“ ძირითად იდეად ყოველთვის ბატონყუმური უსამართლობის მხილება მიაჩნდათ.

დანიელ ჭონქაძემ ქართული ლიტერატურისა და ეროვნული კულტურის განვითარებაში ჭეშმარიტად დიდი როლის შეასრულა. იგი ერთ-ერთი იყო იმ მწერალთაგან, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში საფუძველი ჩაუყარა კრიტიკულ რეალიზმს და წინა პლანზე წამოწია სრულიად ახალი თემები და იდეები.

ალბათ, ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ არ დაივიწყა ქართველმა ხალხმა ის, ხოლო მისმა „სურამის ციხემ“ ღირსეული ადგილი დაიჭირა ქართულ ლიტერატურაში.

დანიელ ჭონქაძის შემოქმედება შესაძლოა მხატვრული რეალიზმის თვალსაზრისით მთლად არ იყო დახვეწილი, შესაძლოა რეალისტური მიმართულების მთლიანი ჩამოყალიბებაც ვერ შეძლო, მაგრამ უდავოა, რომ იგი შეეხო საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად ფაქიზ და მტკივნეულ საკითხებს, რითაც გზა გაუკვალა შემდეგი თაობის მწერლებს.

სამაგისტრო ნაშრომი „დანიელ ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხის“ სახისმეტყველების დისკურსი ეპოქათა ცვლილების კვალდაკვალ“ შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

პირველ თავში „დანიელ ჭონქაძე და XIX საუკუნის 40-50-იანი წლების საქართველო“ შესწავლილი გვაქვს მწერალ დანიელ ჭონქაძის მიერ განვლილი გზა და თანამედროვე საქართველო. ყურადღება განმახვილებული არის ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე, ეკონომიკური განვითარების ტენდენციებზე.

მეორე თავი სამაგისტრო ნაშრომის „სოციალური პრობლემატიკა დანიელ ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხეში“ ეძღვნება დანიელ ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხეში“ აღწერილ სოციალურ პრობლემატიკას, მწერლის თვალთა დანახულ სინამდვილეს.

მესამე თავი - „სურამის ციხე“ და ქართველი კრიტიკოსები გაანალიზებულია მწერლის თანამედროვე პერიოდის კრიტიკოსთა და შემოქმედთა თვალთ დანახული, შეფასებული მოთხრობა და არსებული მოსაზრებები, რასაც მოყვება საბჭოთა პერიოდში შექმნილი პილიტიკური ხასიათის დამოკიდებულაბანი მოთხრობის მიმართ. ეპოქა მიზანმიმართულად ცდილობდა დანიელ ჭონქაძის მხატვრული ნაწარმოების პოლიტიკური დაკვეთის შესაბამისად, სოციალურ ჭრილში გაანალიზებას და ტენდენციურ შეფასებას. აქვე, საინტერესოდ იკვეთება თანამედროვე კრიტიკოსთა ობიექტური შეფასებანი.

სამაგისტრო ნაშრომის მეოთხე თავში - ნარატივის მხატვრული ფუნქცია დანიელ ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხეში“ - მხატვრული ტექსტი განხილულია თანამედროვე ლიტერატურული განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ნარატივის მხატვრულ ფუნქციასა და თხრობის საინტერესო, ასევე მხატვრული რესურსის გამოყენებით.

თავი I. დანიელ ჭონქაძე და 40-50-იანი წლები საქართველო

ქართული რეალიზმის ერთერთ ფუძემდებელს დანიელ ჭონქაძეს მეტად საინტერესო, აქტიურ და მრავალფეროვან გარემოში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა. მთელი მეცხრამეტე საუკუნე გამოირჩევა დამპყრობელისადმი დაუმორჩილებლობითა და მედგარი წინააღმდეგობის გაწევით. ქართული მხატვრული ლიტერატურა ტრადიციულად განაგრძობდა ისტორიული მისიის შესრულებას - მეფის რუსეთის დამპყრობელური და დამთრგუნველი პოლიტიკის მიუხედავად, ქართული მწერლობა ახერხებდა მართალი სიტყვის თქმას და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას. აღნიშნულის ნათელი მაგალითია დანიელ ჭონქაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. დანიელ ჭონქაძე სწორედ ის მწერალი გახლავთ, რომელმაც ერთერთმა პირველმა ამოიღო ხმა აილო სამართლიანობის დასაცავად და ფართო საზოგადოებას თვალი აუხილა. ვიდრე, უშუალოდ დასმული პრობლემატიკის საკითხზე დავიწყებდეთ მსჯელობას, მანამდე გავიხსენოთ მწერლის მიერ განვლილი შემოქმედებითი და ბიოგრაფიული გზა, ის პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული საკითხები, რომლებიც განსაზღვრავდა ეპოქის სურათს.

ქართველი მწერალი დანიელ ჭონქაძე დაიბადა 1830 წელს, სოფელ ყვავილში. მამა, გიორგი ჭონქაძე, მღვდელი გახლდათ, ასევე სასულიერო პირი იყო მწერლის პაპა შიო. ამ უკანასკნელს მეტად გავლენიანი ადამიანის სახელით იცნობდნენ არაგვის საერისთავის გამგებელნი. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ მწერლის მამა. ისიც გამოირჩეოდა თანამედროვეთაგან სიმამაცითა და ერთგულებით. ამიტომაც, ამის მსაგვსად, მასაც ხშირად რთული მისიის შესრულებას ავალებდნენ. ამიტომ, მამა-შვილს ხშირად ეწევდა საცხოვრისის შეცვლა დაკისრებული სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად, თუმცა მიუხედავად ამისა, ისინი მშობლიურ სოფელ ყვავილს არ ივიწყებდნენ და არც უპატრონოდ ტოვებდნენ.

მომავალმა მწერალმა ყრმობა ბატონყმურ სოფელში განვლო. მას პატარაობიდანვე თრგუნავდა ბატონყმობის უღლით დატანჯული გლეხების მძიმე

ცხოვრების პირობები. ამიტომაც, ამ ყოველივემ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მასზე, ვერ ივიწყებდა გაბატონებულ უსამართლობას და მის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი შემდეგ თავისი შემოქმედების საზრისად აქცია.

ისტორიული წყაროებით როგორც დგინდება, მწერლის წინაპრები იყვნენ სამეფო ყმები. შიო ჭონქაძე არაგვის საერისთავოს გამგებლის მოძღვარი გახლადათ. ბატონიშვილები მას დიდი პატივს სცემდნენ. თანამედროვეები სასულიერო პირს განათლებულ პიროვნებად იცნობდნენ, მან კარგად იცოდა ძველი ქართული მხატვრული ლიტერატურა, ისტორია თუ სხვა მეცნიერებანი და ეს გასაკვირიც არ იყო. შიო ბატონიშვილების გარემოცვაში გაიზარდა. მამამ კარგად იცოდა განათლების ფასი და შვილებსაც მისცა სწავლის შესაძლებლობა. მწერლის მამამ და მისმა ძმამ მონასტერში მიიღეს განათლება.

მეფის რუსეთი ამ პერიოდში აქტიურად განაგრძობდა კავკასიელი ხალხების დაპყრობას. ურჩი ოსების დასამორჩილებლად ყველა ღონეს მიმართავდა. მათ შორის აქტუალური იყო ოსეთში ქრისტიანული სარწმუნოების სწრაფად გავრცელების საკითხი. პროცესს ხელმძღვანელობას უწევდა სპეციალურად ამისათვის შექმნილი კომისია. სწორედ, გარემოებების გათვალისწინებით, მწერლის მამა, გიორგი ოჯახთან ერთად ოსეთში გაამწესეს, როგორც ქრისტიანობის გამავრცელებელ მისიონერად. რთული წარმოსადგენი არ არის, სასულიერო პირს თუ რაოდენ რთულ პირობებში უხდებოდა მისიის შესრულება და როგორ რთულ გარემოში ცხოვრობდნენ მისი ოჯახის წევრები. მაგრამ მიუხედავად ამისა, ოსეთში ცხოვრების პერიოდი დანიელს უქმად არ გაუტარებია, მას კარგად შეუსწავლია ოსური ენა და იქაურთა ცხოვრების წეს-ჩვეულებანი.

დანიელ ჭონქაძე მამამ 1839 წელს სასწავლებლად კავკასის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, სადაც ექვსი წელი სწავლობდა. 1845 წელიდან იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში იღებს განათლებას. სამწუხაროდ, მალე დასრულდა მომავალი მწერლის იდილია, რადგან ოჯახი საშინელ განსაცდელში ჩავარდა. გიორგი ჭონქაძეს 1846 წელს ჩრდილოეთ ოსეთში მუხანათურად დაესხნენ

თავს და სიცოცხლე მოუსწრაფეს. მიზეზი გასაგები იყო - ადგილობრივთ არ მოსწონდათ მისი მისია. ბუნებრივია, ოჯახს ძალიან გაუჭირდა ტრაგედიასთან გამკლავება, თავი ვერც ფინანსურ პრობლემებს გაართვეს. დანიელის განათლებაზე ეკლესიამ იზრუნა და 1846 წლიდან სემინარიაში მისივე დაფინანსებით სწავლობს. იგი კარგი და ბეჯითი მოსწავლის ავტორიტეტით სარგებლობდა, სემინარია 1851 წელს წარჩინებით დაასრულა.

დანიელ ჭონქაძე 1851 წელს, თბილისის სემინარიის დასრულების შემდეგ, სტავროპოლის სემინარიაში ოსურის მასწავლებლად იწყებს მუშაობას. მწერალს ამავე პერიოდში დაწყებული ჰქონდა ოსურ-ქართული ლექსიკონის შედგენა, მაგრამ ავადმყოფობის გამო, მისი დასრულება ვერ შეძლო. შემოქმედს ეკუთვნის ასევე სპეციალური გამოკვლევა ოსთა შესახებ, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. დანიელ ჭონქაძე იწერდა ქართული და ოსური ხალხური მასალების ნიმუშებს.

მწერალი, მიუხედავად იმისა, რომ ატარებდა სასულიერო წოდებას, მაინც მსახურობდა სინოდის კანტორაში, როგორც მაგიდის უფროსი. იგი ოსურ ენაზე თარგმნიდა სასულიერო წიგნებს, ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. ახალგაზრდა შემოქმედი მალე მიხვდა რომ მამის მიერ გაკვალილი გზა თავისი შესაძლებლობების რეალიზებასა და დასახული გეგმების შესრულებაში ხელს შეუშლიდა და გადაწყვიტა ცხოვრების წესის შეცვლა. მცდელობა შედეგიანი აღმოჩნდა, დანიელ ჭონქაძემ მიზანს მიაღწია და სინოდის დადგენილების საფუძველზე, სასულიერო წოდებიდან საერო ცხოვრებაში გადავიდა. მან თავისი ცხოვრება მიუძღვნა მომავალი თაობების აღზრდას, სიცოცხლის ბოლომდე პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა.

სამწუხაროდ, მწერლის სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა. იგი 30 წლის ასაკში გარდაიცვალა, თუმცა ამ მოკლე ხანში მოახერხა ღირსეული ადგილი დაეჭირა საზოგადოებრივ ასპარეზსა და ქართულ ლიტერატურაში.

მე-19 საუკუნე მნიშვნელოვანი პერიოდია ქართული საზოგადოებისთვის. აქედან იწყება სრულიად ახალი ეტაპი ხალხის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს რეალობაში რუსეთი მმართველ ძალად იქცა და ეროვნული თვითმყოფადობის დასაცავად და სამშობლოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო. ერთი შეხედვით, თითქოს საქართველო დამშვიდდა, ომისაგან დაღლილი დაცხრა და დადუმდა, მაგრამ მალევე დაიწყო დამპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა. რუსეთის მმართველობამ აქტიურად დაიწყო მიზნის განხორციელება - ყველაფერს აკეთებს ეროვნული და სოციალური თავისუფლების ჩასახშობად.

ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას ქართველი გლეხკაცობა ყოველთვის აჯანყებით ხვდებოდა. ეს იყო მშრომელ ხალხთა პასუხი არა მხოლოდ რუსთის, არამედ საკუთარი თავადაზნაურების წინააღმდეგაც, რომლებიც არანაკლებ იყვნენ გარეულნი მათ სოციალურ ჩაგვრაში. ეს პროცესები კარგად აისახა ამ პერიოდის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. მე-19 საუკუნის 40-50 იან წლებში ასპარეზზე გამოდიან ისეთი მწერლები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ქვეყნის ლიტერატურულ ასპარეზზე. მათი შემოქმედების მთავარი თემა ეროვნული პრობლემატიკა, ქვეყნის მძიმე პოლიტიკური და სოციალური ვითარება გახლდათ. კერძოდ, მათ შემოქმედებაში აისახა საქართველოში არსებული მძიმე სოციალური და ეროვნული პრობლემები.

ამ მწერალთაგან ერთ-ერთი დანიელ ჭონქაძე იყო, ხოლო მისი „სურამის ციხე“ შეფასდა, როგორც მძლვარი იარაღი ქვეყანაში გაბატონებული უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისა.

დანიელ ჭონქაძე ქართული რეალისტური პროზის დირსეული წამომადგენელია, რომელმაც მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობას ერთადერთი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური ხასიათის ნაწარმოები შეუქმნა. ბატონყმური ცხოვრების საშინელებანი, მეფის მოხელეთა თვითნებობა, კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში, ოჯახის, ადამიანის „ცოდვის“ პრობლემა - ეს არის ის საკითხები, რომლებიც გაშუქდა დანიელ ჭონქაძის შემოქმედებაში.

მე-19 საუკუნის 40-50 იანი წლების საქართველო მეტად რთულ პერიოდს გადის. არსებული ეროვნულ-სოციალური პრობლემები ქვეყანას თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. ეს არის დრო, როცა ბატონყმური ურთიერთობები ისე მძლავრობს მთელ ქვეყანაში, როგორც არასდროს, ხოლო მისგან დატანჯული გლეხკაცობა ამ უსამართლო სისტემის ქარცეცხლშია მოყოლილი. სწორედ, ამ დროს ასპარეზზე გამოსული მწერლების: გიორგი ერისთავის, დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზიანის და ზურაბ ანტონოვის შემოქმედებათა მთავარ პრობლემად ეროვნული და სოციალურ-ეკონომიკური საკითხები ხდება. მათ თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში თამამად და ნათლად ასახეს ქართული საზოგადოების ბნელი და მტანჯველი მხარეები. მწერალთა ეს ჯგუფი ღიად საუბრობდა იმდროინდელ სოციალურ უკუღმართობასა და უთანასწორობაზე. მათ სასტიკად ამხილეს ბატონყმური ურთიერთობები და საზოგადოებისთვის თვალის ასახელად დაიწყეს მის წინააღმდეგ ბრძოლა. დანიელ ჭონქაძისა და მისი თანამოაზრეების ნაწარმოებებში ნათლად აისახა მშრომელი ხალხის გასაჭირი, აუტანელი ყოფა.

მთავარი საკითხი, რომელიც იმ პერიოდის ქართული ინტელიგენცია მოეცვა, ბატონყმური ურთიერთობებია. ბატონისაგან ყმის განთავისუფლების პრობლემის მოსაგვარებლად დაირაზმენ დანიელ ჭონქაძე და მისი თანამედროვენი. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა იმ სიბნელისა და წყვიადის წინააღმდეგ ბრძოლა, რასაც ბატონყმური ურთიერთობები ეწოდებოდა.

50-იანი წლებიდან რუსმა ინტელიგენციამ დაიწყო ბრძოლა ამ წყობილების წინააღმდეგ, რის შედეგადაც, აუცილებელი გახდა საგლეხო რეფორმის გატარება, რასაკვირველია, ქართველი თავადაზნაურობისთვისაც გასაგები გახდა, რომ ეს ყოველივე მხოლოდ რუსეთით არ შემოიფარგლებოდა, რადგანაც ბატონყმობის მარწუხებში ქართველი გლეხებიც იყვნენ მოქცეულნი. უდავო იყო, რომ მსგავსი რეფორმა საქართველოსაც შეეხებოდა, იმპერატორის სიტყვების შემდეგ კი ეს მოსაზრება განსაკუთრებით გამტკიცდა „უკეთესია გავანთავისუფლოთ ზევიდან, ვიდრე ქვევიდან დაგვამხოზდნენო“ (ზანდუკელი, 1938:154)

დანიელ ჭონქაძის ერთადერთი ნაწარმოებია ჩვენამდე მოღწეული - „სურამის ციხე“, რომელმაც გამოქვეყნებისთანავე საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. მისი პირველი ნაწილი 1859 წელს, ხოლო მეორე ნაწილი - 1860 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“. მასში ნათლად იყო აღწერილი 40-50 იანი წლების საქართველო. ნაწარმოები მკაცრი კრიტიკა აღმოჩნდა იმდროინდელი მაღალი საზოგადოების წევრებისათვის, რადგანაც მოთხრობაში ასახულია ქართული რეალობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა - ბატონყმური ურთიერთობა. ავტორმა ტექსტის მთავარი იდეა დაუკავშირა ქვეყნაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას. ყველას წინაშე გააშიშვლა ბატონყმური ურთიერთობა, რის შედეგადაც არაერთი მემამულის გულისწყრომაც დაუმსახურებია.

თხზულების შესახებ თავად ავტორი შემდეგნაირად საუბრობს: „ხელი მოგვიდეს ქართულ ლიტერატურას (აქ ქართულ ენაზე მხოლოდ ერთი ჟურნალი გამოდის, ეროვნული გრძნობა იღვიძებს) და დავწერე ერთი მოთხრობა, სათაურით „სურამის ციხე“. მოთხრობას ძლიერ კარგად შეხვდა საზოგადოება, ზოგიერთი უვიცი მემამულის გარდა, რომელთაც ვაწყენინე გლეხთა საკითხით“ (ევგენიძე, 1963:138).

დანიელ ჭონქაძე ბატონყმურ სოფელში გაიზარდა, მას ბავშვობიდანვე მოუწია ამ ურთიერთობებზე თვალის დევნება, ხედავდა გლეხის ტანჯულ ცხოვრებას და ვფიქრობთ, სწორედმ ეს გახდა მოტივი იმისა, რომ მან ეს საკითხი თავისი ნაწარმოების ერთ-ერთ მთავარ საგნად აქცია.

„სურამის ციხე“ ბატონყმობის გაუქმების წინა წლებში გამოქვეყნდა. ამ პერიოდში გლეხები ყოველმხრივ შევიწროებული იყვნენ. მათ მონურ ყოფას არაერთი ისტორიული საბუთი ადასტურებს. მათ ამგვარ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ადამიანებით ვაჭრობა. ყმების ყიდვა-გაყიდვას საქართველოში, სამწუხაროდ, მასობრივი ხასიათი ჰქონდა მიღებული. მებატონეთა მიერ გაყიდული გლეხები უცხოეთის ბაზარზეც ხვდებოდნენ, ამიტომაც ასეთ პირობებში მყოფი გლეხები ხშირად ქართველ მებატონეთა წიააღმდეგ აჯანყებებს აწყობდნენ.

აშკარაა, რომ იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობა გახდა საბაზი მოთხოვნის „სურამის ციხის“ დაწერისა. 40-50-იანი წლების საქართველოში ჯერ კიდევ ქუხდა ბატონყმობა და ამ ყოვლად აზრმოკლებულ ურთიერთობას ჰყავდა კიდევ მხარდამჭერები. იმ პერიოდის ერთადერთ ჟურნალ „ცისკარში“ ბატონყმობის გმობის მსგავსი ფაქტი არ გვხვდება, პირიქით, მასში იბეჭდება ალექსანდრე ორბელიანის წერილი „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“, რომელშიც იგი სიმპატიას გამოხატავდა ბატონყმური სისტემის მიმართ და ფიქრობდა, რომ ეს ურთიერთობა „მამაშვილურ“ დამოკიდებულებას ჰგავდა. მისი აზრით, საქართველოში ამ ორ ფენას შორის მეტად კეთილი ურთიერთობა სუფევდა.

ალექსანდრე ორბელიანის პოზიციას იზიარებდა დიმიტრი მეღვინეთ - ხუცესიშვილი. წერილში „ბატონყმობა“ ის მსგავს პოზიციებს გამოხატავს ბატონყმობასთან დაკავშირებით.

ცხადია მათ დავიწყებით ამ მამაშვილურ ურთიერთობს იქეთ დარჩენილი რეალობა. გარდა მებატონეთა აღვირახსნილი ქმედებებისა, მათ სრულიად არ ახსოვდათ ის სამწუხარო ფაქტი, თუ როგორ იყიდებოდა მე-11 საუკუნიდან საქართველოში უამრავი ყმა. ბატონისგან განწირული ადამიანებით ვაჭრობა ხომ მთელი საუკუნეების განმავლობაში სარფიან საქმედ ითვლებოდა.

სამწუხაროდ, ქართული ინტელიგენციის ნაწილი შეეცადა ბატონყმობა როგორც პატონყმობა ისე წარმოედგინათ, რაც როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს. მათი აზრით, რადიკალური განსხვავება იყო რუსულ და ქართულ ბატონყმურ ურთიერთობებს შორის. ალექსანდრე ორბელიანი წერილში „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“ აქებს ბატონყმურ ურთიერთობას და საუბრობს მათ ახლო ვითომ „მამაშვილურ“ დამოკიდებულებაზე. ის წერს: „უწინდელ დროში კაცი იმას ეძებდა მებატონე ვიპოვნო და იმას შევეხიზნოვო იმისათვის, რომ მებატონემ თავის ყმას შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა“ (ზანდუკელი,1972:154). მისთვის ეს ურთიერთობა კლასობრივი ბრძოლა კი არა მამაშვილური ურთიერთობა გახლდათ.

რასაკვირველია, ამ ეგრეთ წოდებული კეთილი დამოკიდებულის მიღმა ჩვენ ვხედავთ გლახთა მონურ, არაადამიანურ ყოფას. ისინი იყიდებოდნენ, ფასდებოდნენ როგორც ნივთები და უსულო არსებები. მათ არ ჰქონდათ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების, სიყვარულის უფლება. ამ ურთიერთობამ მათ წაართვა ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ - თავისუფლება. ამიტომაც ათქმევინებს დურმნიშხანს დანიელ ჭონქაძე: „სანამ ჩვენ იმდენი არ გვექნება საცხოვრებელი, რომ სხვის თავდაუკრელად ვიცხვროთ მანამ ჩვენი განთავისუფლება განთავისუფლება არ არის“ (ლორთქიფანიძე, 1963:6).

ფეოდალებს გაცხარებული ვაჭრობა ჰქონდათ გამართული, ისინი თავისუფლად ყიდნენ ყმებს. ცნობილია, რომ ერეკლე მეორესა და იმერეთის მეფე სოლომონ პირველს დიდი ბრძოლის გადახდა მოუწიათ ამ ყოველივეს აღმოსაფხვრელად.

ბატონყმობის გადავარდნის იდეა თავად იმდროინდელმა ყოფამ მოიტანა - 1861 წელს ალექსანდრემ მეორემ მანიფესტით გააუქმა ბატონყმობა. ეს ყოველივე გამოწვეული იყო არა მისი კეთილშობილური განზრახვით, არამედ იმით რომ ამბოხებული გლეხები ნებით თუ არა ძალით მაინც მოითხოვდნენ თავისუფლებას. გრძნობდა რუსეთის მეფე, რომ თუ არ ჩაჰყვებოდა ამ პრობლემას, ჩაიყოლებდნენ აჯანყებულები. დამარცხებას „რეფორმის“ განხორციელება ამჯობინა.

დანიელ ჭონქაძის ნაწარმოები სურამის ციხე ზუსტი და მტკიცე პასუხი იყო იმ მოსაზრებისა თუ რა „მამაშვილური“ ურთიერთობები თუ, რა თქმა უნდა, ამას შეიძლება საერთოდ ურთიერთობა ვუწოდოთ არსებობდა ბატონსა და ყმას შორის.

მაშინ, როდესაც საზოგადოება ორადაა გახლეჩილი, ქვეყანა ურთულეს ეტაპს გადის, ხოლო ბატონყმური ურთიერთობის საკითხი ცხარე პოლემიკის საგანია, 1859 წლისა და 1860 წლის ჟურნალ „ცისკრის“ ნომერში იბეჭდება მოთხრობა „სურამის ციხე“, რომელიც ტყვის გავარდნასავით იყო ბატონყმური ურთიერთობის მეხოტბეებისთვის. ნაწარმოებში დახატული ბატონისა და ყმის ურთიერთობამ თავიდან ბოლომდე გააშიშვლა ქართული ყოფა და რეალობა.

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ გამოქვეყნებისას ჯერ კიდევ არ იყო ბატონყმობა გადავარდნილი, ამიტომაც მსგავსი ნაწარმოების ავტორობა მეტად გაბედული საქციელი უნდა ყოფილიყო. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორს ივანე კრესელიძეს ნაწარმოების გამოქვეყნებით გამოწვეულ დიდ უსიამოვნებასთან და კრიტიკასთან მოუწია გამკლავება.

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ აშკარა რეალური სურათი აღმოჩნდა იმისა ეროვნული პრობლემების გვერდით თუ რამდენად დიდი კლასობრივი დაპირისპირება და წინააღმდეგობა სუფევდა ბატონსა და გლეხს შორის. უდავოა, რომ მწერალს სურდა, ეჩვენებინა საზოგადოებისთვის თუ როგორ ამახინჯებს ეს ურთიერთობა უბრალო ადამიანის სულსა და ცხოვრებას. XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში „სურამის ციხე“ გახლდათ მკაცრი და პირდაპირი კრიტიკა იმ სამწუხარო ქართული რეალობისა რასაც ბატონყმობა ერქვა.

ბატონყმური ურთიერთობის მსგავს ჭრილში წარმოჩენა როგორც თავად ჭონქაძე უწოდებდა ზოგიერთმა „უვიცმა მემამულემ“ დიდი პროტესტით მიიღო, თუმცა საერთო ჯამში თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ნაწარმოები ერთ-ერთი მოპოვებული გამარჯვება გახლდათ იმ დიდი ომისა, რომელიც მიმდინარეობდა ეროვნული და ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ თერგდალეულებმა ამ ნაწარმოებს დიდი შეფასება მისცეს. მოთხრობამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ისეთი მწერლების მხატვრულ ნაწარმოებებს შორის, როგორებიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლავრენტი არდაზიანი...

ჟურნალ „ცისკრის“ ნომერში ანტონ ფურცელაძემ ვრცლად ისაუბრა „სურამის ციხის“ მხატვრული ღირებულებების შესახებ. მეტად საინტერესოა გიორგი წერეთლის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. მისი აზრით, საჭიროა ამ ნაწარმოების უფრო სიღრმისეული წვდომა, რადგანაც „სურამის ციხე“ იმ პერიოდის საქართველოსთვის ღრუბლიან ამინდში მზის გამონათებასავით გახლდათ. საქართველოში მსგავსი კრიტიკული ნაშრომის შექმნა უკვე დიდ პროგრესად

შეიძლება ჩავთვალოთ. 1863 წლის ცისკრის ნომერში აკაკი წერეთელი უძღვნის ჭონქაძეს ლექსს „მოგონება“. მასში გამოხატულია სიმპათია და კარგი დამოკიდებულება „სურამის ციხის“ ავტორის მიმართ. ნაწარმოები იმდენად რეალურად, ზუსტად ასახავდა ქვეყნის სატკივარს, რომ შეძლო და მიიქცია ინტელიგენციის ყურადღება. ჭონქაძემ დიდებულად შეძლო მისი საშუალებით აღწერა 40-50 წლების საქართველო ალბათ, სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ მის შესახებ საუბრობდა და მსჯელობდა მთელი ერი. „სურამის ციხე“ იყო ერთგვარი გამოსაფხიზლებელი სიგნალი თავად ავტორის მიერ, რომელიც სამშობლოს დიდი გულშემატკივარი გახლდათ.

40-50 იანი წლების ქართული ინტელიგენციის ქარცეცხლში მოუწია „სურამის ციხეს“ გავლა. უდავოა, სწორედ იმ დროინდელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია ჭონქაძის მკაცრი კრიტიკა ბატონყმური ურთიერთობისა.

დანიელ ჭონქაძემ თავის ნაწარმოებში სრულიად ნათლად აღწერა საქართველოში არსებული სამწუხარო რეალობა. იგი თავს დაესხა ქართველ მემამულეებს, ამხილა მათი დაცემა და ზნეობრივი დაკნინება. აღსანიშნავია, რომ მან ყველა თავის თანამედროვეს გადააჭარბა ბატონყმური ურთიერთობის მკაცრ და სასტიკ მხილებაში. ნათელია, რომ ამ საკითხის მსგავსი სიმძლავრით გაშუქება ამაზე ადრე ნამდვილად არ გვექონია.

თავი II. სოციალური პრობლემა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში“

დანიელ ჭონქაძეს მეტად ფხიზელი სოციოლოგიური ყნოსვა ჰქონდა. სწორედ, ამით იყო განპირობებული იყო ის ფაქტი, რომ „სურამის ციხეში“ თავიდან ბოლომდე დაიპყრო ქართულო საზოგადოება. მწერალმა ამ ნაწარმოებით გვიჩვენა არა მხოლოდ მებატონეთა თავგასული ქმედებები, რაც თავისთავად მიუთითებს ქვეყანაში გავრცელებულ სოციალურ და ეროვნულ პრობლემებზე, ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს თუ რად აქცევს ბატონყმური ურთიერთობები ადამიანებს. ავტორმა საზოგადოებას წარუდგინა რეალური პერსონაჟები ნამდვილი განცდებითა და ტკივილებით. მასში წამოჭრილი პრობლემები მეტად აქტუალური გახლდათ XIX საუკუნის საქართველოსთვის. ალბათ, ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ქართულ ლიტერატურას დღესაც არ დავიწყებია დანიელ ჭონქაძე და მისი „სურამის ციხე“

ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ შეუძლებელია, თვალში არ მოგვხდეს ის ეროვნულ-სოციალური პრობლემა, რომელიც ასე მკვეთრად დაგვიხატა მწერალმა. ტექსტი თავიდან ბოლომდე მკაფიო სურათია ქვეყანაში გაბატონებული უსამართლობისა. ნაწარმოების გმირები, სამწუხაროდ, რუსთა ბატონობის და ბატონყმური ურთიერთობის შვილები არიან. ისინი საქართველოს მკვიდრნი არიან, რეალური პერსონაჟები, რეალური ცხოვრებით. მათი ტკივილი, არაადამიანური ყოფა, უსამართლო ხვედრი ყმობისა და განცდა იმისა, რომ არასდროს ეღირსებათ თავისუფალი ცხოვრება ნამდვილია. დანიელ ჭონქაძემ დურმიშხანის, ოსმან-აღას(ნოდარის), გულისვარდის საშუალებით მკაფიოდ და ნათლად დაანახა საზოგადოებას თუ როგორ უმახინჯებდა სულს ადამიანებს ბატონყმური ურთიერთობები.

ნაწარმოებში მოვლენები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხდება. დურმიშხანი იმერელია, ოსმან-აღა - ქართლელი, თუმცა მათ საერთო რამ აკავშირებთ, ეს არის საშინელი ხვედრი ბატონყმური ცხოვრებისა.

დურმიშხანი წერეთლის ვაჟის უკანონო შვილია, რომელიც წერეთლის ვაჟს გლეხი ქალისგან გაუჩნდა. რა თქმა უნდა, ეს თავადთა ოჯახმა ვერ აიტანა, ამიტომაც, სულ პატარა დურმიშხანი მოგლიჯეს დედის კალთას და მუხრან ბატონს აჩუქეს როგორც ნივთი. ყმა იმდენად უუფლებოა, რომ მას არ შეუძლია საკუთარი შვილის დაცვა, იგი მუდამ იმის შიშშია, არ წაართვან შვილი, არ გაუყიდონ. ყმებს ხომ არ შეუძლიათ იცხოვრონ სრულყოფილი ცხოვრებით მხოლოდ იმიტომ, რომ ბატონს შესაძლოა მოესურვებინა გლეხის შვილის გაყიდვა ან გაჩუქება. მწერალმა უაღრესად მძაფრად აღწერა ქვეყანაში გაბატონებული ეროვნულ-სოციალური პრობლემა.

დურმიშხანის უბედურება მისი გაჩუქებით არ დასრულებულა. მხოლოდ ახლა იწყება მისი ტანჯვა, მხოლოდ ახლა იგრძნობს იგი თუ რას ნიშნავს იცხოვრო ბატონყმობის კლანჭებში, იგრძნო რას ნიშნავს გერქვას ყმა, მონა, რომელიც არაფერს წარმოადგენს. მრავალი დამცირების, გაჭირვების გადატანა მოუწია გმირს - სიცივე, შიმშილი, ცემა, შეურაცხყოფა მისი ცხოვრება იყო. მას უყურებდნენ, როგორც გართობის საგანს. ყოველი ჯოხი მასზე ტყდებოდა, სულერთია, მისი ბრალი იყო თუ არა. დურმიშხანი ამბობს „ვინც რამეს დააშავებდა ყველა ჩემი ბრალი იყო: ვინ რა მოიპარა? იმერელმა. ვინ რა გატეხა? იმერელმა. ვის დასცინიან? იმერელ ბიჭს. ვისა სცემენ გაჯავრებულს გულზე - იმერელის ბიჭს. ბევრჯერ მიგმია ღმერთი ჩემი გაჩენისთვის, ბევრჯერ მიტირნია მწარე ცრემლითა, მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშის მცემელი? არავინ“ (კ.ლორთქიფანიძე, გ. ნატროშვილი, 1963წ :გვ.5). ამიტომაც მიიღო მან მკაფიო გადაწყვეტილება გამდიდრებისა. იგი ხსნას მხოლოდ ფულში, ვაჭრობაში ხედავდა. სამწუხაროდ, ამ მიზნის მიღწევისას მან დაივიწყა ადამიანობა, ჰუმანურობა. ვარდოს სიყვარული გამოიყენა, როგორც გზა მისი მონობისგან განთავისუფლებისა. მხოლოდ მისი წყალობით მიიღო „განთავისუფლების წიგნი“, თუმცა მისთვის ეს არ იყო საკმარისი, მას სწყუროდა თავისუფლება - სიმდიდრე, რათა როგორც თავად ეუბნება ვარდოს, მისი შვილებიც არ გაეყიდა ბატონს. „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება, სანამ ჩვენ ჩვენი იმდენი არ გვექნება საცხოვრებელი, რომ სხვის თავდაუკრავად ვიცხოვროთ მანამ ჩვენი განთავისუფლება- განთავისუფლება არ არის“ (ლორთქიფანიძე, 1963:7)

ამ საკითხში რასაკვირველია, მართალია ჩვენი მთავარი გმირი. მწერალი დურმიშხანის პირით ამბობს მთავარ პრობლემას და მიზანს. ამ გზით ჭონქამემ ქართველი გლეხების სათქმელი მკაფიოდ გააჟღერა - საკმარისი არ არის მხოლოდ ფურცელზე დაწერილი თავისუფლება. დურმიშხანი წარმატების მიღწევისთვის საჭირო გზას ვაჭრობაში ხედავს. იგი ეუბნება ვარდოს „წავალ ვიშოვნო ფულს გავმდიდრდები და ისე მოვალ შენთანო“ (კ.ლორთქიფანიძე, გ. ნატროშვილი, 1963წ:გვ7) . თუმცა ის აღარასდროს ბრუნდება სატრფოსთან, გამდიდრების წყურვილმა დააკარგვინა მას ყოველგვარი ჰუმანურობა და ადამიანობა. იგი ყველას შეჰყურებდა როგორც ხერხს და გზას საკუთარი მიზნების მისაღწევად. სწორედ, ასე მოექცა ოსმან-აღასა და გულისვარდს.

სულ სხვანაირია ნოდარი, რომელმაც არანაკლები ტანჯვა გამოიარა, თუმცა მის ადამიანურ ბუნებას ცვლილება არ განუცდია. იგი პირველ რიგში ადამიანია, რომლისთვისაც სიყვარული გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე - სიმდიდრე.

ნოდარი, იგივე ოსმან-აღა, გლეხის შვილია. მამის გარდაცვალების შემდეგ ბატონი მარტოდ დარჩენილ დედასა და შვილის ყველაფერს ართმევს და მონებად იღებს მათ. მის ყოვლად უსირცხვილო საქციელს კი ნიღბავს იმით, რომ თითქოს მათ არ შეეძლოთ საკუთარი ქონების მოვლა. „ბატონმა ჯერ წაგვართო ვენახი იმიტომ, ვითომც, რო აღარ შეგვეძლო მოვლა, მემრე თითო-თითოთ ხარკამეჩი და უკანასკნელათ უბრძანა დედა-ჩემს რო გადასახლებულიყო იმასთან სახლის მოსამსახურედ. საწყალი დედა ჩემი, უნდა გენახა რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! ღმერთო, რა გვართ ეხვეწებოდა საწყალი ბატონს, რო დაენებებინა თავი და არ მოეშლა ოჯახი“ (ლორთქიფანიძე, 1963:16).

მწერალმა ამ სიტყვებით ზუსტად გაუსხვა ხაზი თავადების ეგრედწოდებულ „მამაშვილურ“ დამოკიდებულებას. სასაცილოა, რომელ მამაშვილურ დამოკიდებულებაზე შეიძლება, როცა ვხედავთ როგორ უყურებენ და ეპყრობიან ისინი გლეხებს, როგორც ნივთს, უსულო საგანს. ბატონის გაგებით, გლეხს, არ გააჩნია: გრძნობები, ემოციები, მონატრება, სიყვარული. ყოვლად უსირცხვილოდ

აძლევენ თავს უფლებას ერთი ხელის მოსმით გაანადგურონ ოჯახები, დააშორონ დედა შვილის, შეურაცხყონ მათი ადამიანობა და სიცოცხლეშივე გამოატარონ ჯოჯობეთი. სწორედ, მსგავსი უთანასწორობა სუფევდა საქართველოში, ამ სოციალურ და ეროვნულ გადაგვარებაზე საუბრობდა ჭონქაძე. ცხადია, ეს სიტყვები როგორც ტყვია ისე გავარდებოდა იმდროინდელ საქართველოში. მისი უარყოფა კი შეუძლებელი იქნებოდა. მწერალი ზუსტად, კონკრეტული მხატვრული სახეებით, მოვლენებით აღწერს ზოგიერთი საზოგადო მოღვაწის მიერ „სანაქებო“ ბატონყმურ ურთიერთობას.

დანიელ ჭონქაძე ზუსტად გადმოგვცემს ნოდარის ბატონის არაადამიანობას. მასზე სრულებით არ მოქმედებს დედის ხვეწნა, ტკივილი, მისი პასუხი მხოლოდ სიცილი იყო, როგორც თავად ნოდარი ამბობს მხოლოდ ეშმაკს შეეძლო ამ დროს გაეცინა. საუბედუროდ, მათთვის გლეხის ცრემლი სასაცილოა, ისინი არ აღიქვამენ მათ როგორც ადამიანებს, რომლებსაც გააჩნიათ გრძნობები და ემოციები. თუმცა ეს არის მათი უბედურების დასასრული. საშინელება იწყება მაშინ, როცა ბატონი ნოდარს მიჰყიდის კახელ მღვდელს. რა თქმა უნდა, აქაც არ გაჭრა არც ხვეწნამ, არც ცრემლმა ბატონის გულამდე გლეხის არც ერთი სიტყვა არ მიდიოდა. სხვა გზა არ იყო, ქმრის დაკარგვასთან ერთად დედა შვილსაც ვეღარ დაკარგავდა, ამიტომაც ისინი გაიპარნენ, მაგრამ უშედეგოდ.

გაქცეულები დააბრუნეს ბატონის სახლში და ისიც მთელი ძალით, სისატყვიით შეუდგა მათ დასჯას - გუთანში შეაბა ორივე. უფრო მეტიც, ეს სასჯელი მსუბუქად მოეჩვენა, მეორე დღეს კვერში შეაბა ისინი. ამას კი ვეღარ გაუძლო დედის გულმა, დაეცა და ბატონის სახრის ქვეშ გარდაიცვალა. ნოდარი ავად გახდა, თუმცა მოახერხა გამოჯანმრთელება. ასე დაისაჯნენ უდანაშაულო გლეხები მხოლოდ იმისთვის, რომ სურდათ ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრება. ასე ისჯებოდნენ დედები, რომლებსაც უნდოდათ, შვილო გვერდით ჰყოლოდათ. სასტიკი და გულბოროტი, შეუბრალებელი და უსამართლოა ბატონი. იგი დაუნდობლად უმწარებდა ცხოვრებას გლეხებს. სწორედ, ამ ყოველივეს წინააღმდეგ აღიმალა ხმა დანიელ ჭონქაძემ, სწორედ ამიტომ დაწერა მოთხრობა „სურამის ციხე“.

გასაოცარია ის ფაქტი, რომ ამ ყველაფრის შემდეგ ნოდარს ბატონი ურიგდება, აბრუნებს მასთან და სჯერა მისი ერთგულების. ნოდარს ეს ყველაფერი სიცილისაც ჰგვრის „ხა! ხა ! ხა ! ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უღლში... საკვირველნი არიან ეგ ხალხი“ (ლორთქიფანიძე, 1963:19). თუმცა ბატონის არაადამიანური სახის აღწერა ავტორს ამ ფაქტით არ დაუსრულებია. ამ ყოველისვეს დაემატა ისიც, რომ ბატონმა მას სიყვარულის უფლებაც არ მისცა და საყვარელ ქალს თავი მოაკლევინა. ნოდარს უყვარდება ქალბატონის გოგო ნატო, რომელზე დაქორწინების უფლებასაც ის ბატონს სთხოვს. რა სამწუხარო რეალობაა საკუთარი ბედნიერება სხვას სთხოვო, რათა მოგცეს უფლება იყოს მასთან, ვინც გიყვარს. ამაზე დიდ პიროვნულ უბედურებას, ალბათ, სხვაგვარად ვერც კი შეძლებდა ეჩვენებინა დანიელ ჭონქაძეს. აქაც, რა თქმა უნდა ისტორია ტრაგიკულად სრულდება. ბატონი იძალადებს ნატოზე, რის გამოც იგი თავს იკლავს. ეს ფაქტი ყმაზე სასტიკად მოქმედებს, ის კარგავს ყოველგვარი გონებრივი განსჯის უნარს, კლავს ბატონს, მის ცოლსა და უდანაშაულო შვილსაც კი. სწორედ ამ შეცდომის მონანიებას შესწირავს ნოდარი მთელ თავის ცხოვრებას.

„სურამის ციხე“ უდავოდ, მრავალმხრივ საინტერესო მოთხრობაა. იგი არის პირველი ტექსტი, სადაც ნაჩვენებია არა მარტო ბატონყმობის საშინელი სახე, არამედ მებატონეთა თავგასულობა, ბოროტება და ამ ყველაფრის ფონზე ადამიანთა ცოდვილი ბუნება. ყმის მიერ ბატონის ოჯახის ამოწყვეტა ეგრეთ წოდებული გაფრთხილებაა იმისა, რომ მალე ხმას აიმაღლებენ ამ სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ. გაქცეულ ნოდარს კი არ იჭერენ, არამედ ეხმარებიან, რომ თავი დააღწიოს და არ დაისაჯოს ჩადენილი მკვლევების გამო. სწორედ, ამის შემდეგ გახდა იგი ოსმან-აღა. იგი თითქოს მარტივად უყვება დურმიშხანს მის ტანჯულ ხვედრს, თუმცა თუ კარგად ჩავუღრმავდებით, დავინახავთ რაოდენ დიდია დარდი და სევდა გამოვლილი ჯოჯოხეთით გამოწვეული. უსამართლო ცხოვრებამ იგი მკვლელად აქცია, სამუდამოდ ჩაკლა მასში ყოველი ადამიანური სიხარული.

მსგავსი ტკივილი ჩვეულებრივი ხვედრი იყო იმ დროის ქართველი გლეხებისა. ეს არ არის მხოლოდ დურმიშხანის, ნოდარის სევდიანი ისტორია, არამედ

ეს ქართველი გლეხების სატკივარია, რომელიც დაგვიხატა დანიელ ჭონქამემ კონკრეტული მხატვრული პერსონაჟების საშუალებით. მან გამოამჟღავნა თუ რა „მამაშვილურ“ ურთიერთობებზე იყო საუბარი, თუ როგორ ზრუნავდა ბატონი ყმაზე, როგორ უნადგურებდა მას ცხოვრებას.

განთავისუფლებული დურმიშხანი წყაროსთან შესვენების დრო პურის ჭამას შეუდგა. „ეს იყო პირველი პურის ჭამა დურმიშხანისა ისეთი, რომელიც არ იყო ბატონის ნასუფრალი უნდა გენახათ რა გემრიელი იყო ის პური“ (ლორთქიფანიძე, 1963:13) აქ შეიგრძნო მან თავისუფლების მცირეოდენი გემო, იგრძნო რას ნიშნავს არ იკვებებოდა ვიღაცის ნასუფრალით. აქვე შეხვდება იგი ოსმან-აღას, რის შემდეგაც სამუდამოდ იცვლება მისი ცხოვრება. ნოდარი (ოსმან-აღა) დაიყენებს მას მოჯამაგირედ, მისცემს მისი ქონების ნახევარს, ასწავლის ფულის შოვნას, საბოლოოდ კი მასზე ზრუნვას იმით დააგვირგვინებს, რომ ცოლად შეართვევინებს თავის ნათლულს.

დურმიშხანის ოცნება ახდა, იგი მდიდარი და თავისუფალია, თუმცა მან დაკარგა ყველაზე მნიშვნელოვანი - ადამიანობა, სიყვარულის უნარი. ეს ყოველივე კი, რა თქმა უნდა, გამოიწვია ბატონყმური ურთიერთობების უსამართლო მარწუხებმა. სოციალური უთანასწორობის სიმძიმე იმდენად ძლიერი და აუტანელი აღმოჩნდა დურმიშხანისთვის, ოსმან-აღასგან განსხვავებით, მან ვერ შეძლო, შეენარჩუნებინა ყველაზე მნიშვნელოვანი სულიერება, ზნეკეთილი თვისებები. ფული მისთვის ყველაფერი იყო, რადგანაც მთელი მისი ცხოვრება მხოლოდ იმის ყურება მოუწია, თუ როგორ ჩაგრავდა მას, ის ვისაც მხოლოდ ფული და ძალაუფლება გააჩნდა.

დურმიშხანს ერთი ვაჟი, ზურაბი, შეეძინება, რომელზეც ამყარებს მთელ თავის იმედებს. მას არ უყვარს ცოლი, თავის შვილშიც კი ის მისი ძალაუფლების გაზრდის გზებს ეძებს. „და აი დურმიშხანი დგას ეკლესიაში ღვთის ტაძრის წინ და აძლევს პირობას თავის მეუღლეს სიკვდილამდე სიყვარულისას, მაგრამ უყვარდა იმას თავისი დანიშნული არა, მას არ უყვარდა არც ეხლანდელი თავისი დანიშნული, არც გულის ვარდი არც ოსმან-აღა . იმას უყვარდა მხოლოდ სიმდიდრე და თავის პატივი და იმათ

მოპოვებას შესწირა ყოველივე კეთილი გრძნობა გულისა, რათ უნდა იმას სიყვარული, როდესაც იმას აუსრულდება თავისი ოცნება, როდესაც იქ იქნება მდიდარი.“ (ლორთქიფანიძე,1963:27)

თავად დანიელ ჭონქაძეც ასე ახასიათებს დურმიშხანს. ფულის წყურვილმა ჩაკლა მასში ყოველგვარი ჰუმანიზმი, ჩაუნერგა მას ადამიანებისადმი ზერელე, გულგრილი დამოკიდებულება. სიმდიდრისთვის იგი არაფერს მოერიდება, არავის დაინდობს.

დურმიშხანი ოსმან-აღას წყალობით კარგ ქონებას დააგროვებს. ფართო ვაჭრობით დაკავდება, მისი საქონელი გემებით მოდის ქვეყანაში. მისი მიზანი მიღწეულია - იგი მდიდარია, თუმცა ამასთანავე ყველაზე ღარიბიც მთელ სამყაროში. არაფერია იმ ადამიანზე საშინელი, ვინც სულიერ სიღატაკეს განიცდის. დიახ! მან ყველაფერი დაივიწყა, ვარდო დაივიწყა, მხოლოდ ერთი წერილი გაგზავნა მასთან, რომელშიც წერდა, რომ ჯობდა, გათხოვილიყო. ზოგჯერ წამოცდებოდა ხოლმე სევდის გამომხატველი სიტყვები, თუმცა ეს ყველაფერი მის გულამდე ვერ აღწევდა. მას არასდროს უგრძვნია რეალური სინდისის ქენჯნა მიტოვებული სიყვარულის გამო. თვითონ ოსმან-აღაც კი დაივიწყა, რომლის გარეშეც ვერაფერს მიაღწევდა.

სულ სხვაგვარად წარმოგვიდგინა ავტორმა ნოდარი. ჩვენი დურმიშხანისგან განსხვავებით მას არასდროს უნატრია დიდება, სიმდიდრე, ფული მხოლოდ გარემოებამ აიძულა იგი, გამხდარიყო ვაჭარი. მთელი ცხოვრება ოსმან-აღა მხოლოდ იმას ცდილობდა, დანაშაული გამოესყიდა. მან მოკლა ბატონი, ცოლი და უდანაშაულო ბატონის ვაჟიც. ამ ცოდვის სიმძიმეს მთელი ცხოვრება ატარებდა მხრებით. „მოკვლა უბრალო ყმაწვილისა და უმეტესად გადადგომა ქრისტიანობისა არ მამლევდნენ მოსვენებას და არც ეხლა მომასვენებენ მხიარულებაში, მიღში, ომში, ან თუ საცა გინდა ყველგან სისხლში შევსრილი ყმაწვილი მიდგა წინ და მეუბნება სალმობით - მე რა დაგიშავე, რათ მომკალ?“ (ლორთქიფანიძე, 1963:22).

აშკარაა, რომ მისთვის ფული მიზანი კი არა, საშუალება გამხდარიყო დარდის განსაქარვებლად. სწორედ, ამიტომ ვერ შეძლო ვაჭრობამ მისი სულის დამახინჯება.

იგი დიდი სინანულით, ტკივილით იხსენებს დედასთან თანაცხოვრების პერიოდის ამ სიმდიდრეს, ფულს ათასი თავით ერჩივნა ძველებურად დედასთან ერთად ქობში ცხოვრება. სამწუხაროდ, წასული იყო წლები ყმაწვილობისა. ეს არის მიზეზი იმისა, რომ მან შეძლო თავისი ნახევარი ქონების დათმობა დურმიშხანისთვის, მაგრამ აქაც არ გაუმართლა მას. დურმიშხანი არ აღმოჩნდა ის პიროვნება ვინც ასეთ დიდსულოვნებას იმსახურებდა. ოდნავადაც არ შეიწუხა დურმიშხანმა თავი ნოდარის(ოსმან-აღას) გამო. არც ოსმალო მოღებისგან დაიხსნა, მისი გვამი რამდენი დღე ეგდო სტამბულის ქუჩებში დამარხვაც კი არ ეღირსა მას.

ოსმან-აღას და დურმიშხანის სახით სრულიად განხვავებული გლეხები დაგვიხატა დანიელ ჭონქაძემ. მან ერთმანეთს დაუპირისპირა კეთილი ბუნების პერსონაჟები ერთმანეთს. რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ბატონყმობა გლეხებს არამარტო მშვიდს ტოვებდა, არამედ სულსაც უნადგურებდა და აკარგვინებდა მას ყველაზე მნიშვნელოვანს, ადამიანობას. ამ მკვეთრი განსხვავების მიზეზი ორ პიროვნებას შორის შესაძლოა იმიტომაც იყო, რომ ოსმან-აღამ დურმიშხანისგან განსხვავებით იცოდა, რას ნიშნავდა ოჯახური გარემო, დედის სიყვარული, ზრუნვა მან ხომ ახალგაზრდობა სოფელში გაატარა, ცოტათი მაინც ჰქონდა განცდილი ტკბილი ცხოვრება დურმიშხანისგან განსხვავებით.

რაც შეეხება დურმიშხანს, იგი თავიდანვე არ დაინდო ცხოვრებამ. ბატონის უკანონო შვილი არასასურველი აღმოჩნდა მამის ოჯახისთვის. ნივთის მსგავსად გაცემული ბავშვი მუხრან-ბატონის ოჯახში აღმოჩნდება, სადაც დამცირების, ცემის, ტკივილის მეტს არაფერს იღებდა. სულაც არ არის გასაკვირი ის, თუ რატომ იქცა ასეთად დურმიშხანი - მას არასდროს განუცდია ბედნიერება, არასდროს უგრძობია დედის სიბო და სიყვარული, არასდროს არავინ ზრუნავდა მასზე. იგი მხოლოდ ერთ რამეს ხედავდა - ვისაც ფული ჰქონდა, ის იყო ძღვევამოსილი. ამიტომაც, ხსნას მხოლოდ მასში ხედავდა. ამადაც შეძლო მხოლოდ დიდებისა და სიმდიდრის სიყვარული.

დურმიშხანი მიზანს აღწევს, მას ყველაფერი აქვს, რაც კი ოდესმე უნატრია. მხოლოდ ერთადერთი საფიქრალი აქვს „ერთადერთ რამეზე ოცნებობს, მისი შვილის, ზურაბის წარმატებულ მომავალზე . იგი უნდა გახდეს სახელოვანი, მისაბამი ადამიანი, ხოლო თუ კათალიკოსიც გახდებოდა, აი, მერე კი თავს არავის დაუკრავდა. შვილის მომავალს გეგმავს და რასაკვირველია, მისი გონება დიდების მოხვეჭის იქეთ ვერაფერზე ახერხებს ფიქრს. ბედმა უმტყუნა დურმიშხანს. ზურაბმა აგო მის დანაშაულზე პასუხი, იგი ცოცხლად ჩაატანეს სურამის ციხის კედლებს . ამ ამბავმა ზურაბის დედა ჭკუიდან გადაიყვანა, ხოლო დურმიშხანი და მისი ამპარტავნება სამუდამოდ დასცა მიწას.

საბოლოოდ, დურმიშხანი საკუთარმა ცოდვებმა ისევ გულისვარდთან მიიყვანა, რათა გაერკვია ვინ გაიმეტა მისი შვილი სასიკვდილოდ. ამ დროს ვარდუა უკვე ცნობილი მკითხავი გახლდათ, მისი რჩევით ჩაატანეს ზურაბი სურამის ციხის კედელს. ამ ორის შეხვედრა ტრაგიკულად სრულდება ვარდოს ჩუმად მომზადებული ხანჯლით დურმიშხანიც კვდება და ვარდუაც. ასე დასრულდა იმ ორი ადამიანის სიცოცხლე, რომლებიც ოდესღაც მტკვრის სანაპიროზე ერთმანეთს სამუდამო სიყვარულს ეფიცებოდნენ.

და მაინც რატომ გადაწყვიტა მწერალმა ასე სასტიკად და ტრაგიკულად დაესრულებინა ზურაბის სიცოცხლე?

რასაკვირველია, მისი სიკვდილით დანიელ ჭონქაძემ დასაჯა გულქვა დურმიშხანი. სულ ტყუილად იფიქრა, რომ ვარდოს დაავიწყდებოდა მისი ღალატი და მშვიდად განაგრძობდა ცხოვრებას. დურმიშხანის დასჯა ან შვილის სიკვდილით ან მისი გაკოტრებით უნდა მომხდარიყო. რა თქმა უნდა, ვარდომ იცოდა დურმიშხანს მთელი ცხოვრება იმის ემინოდა, ბატონს შვილი არ წაერთმია მისთვის. ამიტომაც ხელიდან გამოსტაცა ის, რაც ასე ძვირფასი გახლდათ მისთვის. დურმიშხანი ასცდა სწორ გზას. მრავალი ტანჯვის და უბედურების მნახველს კარგად უნდა სცოდნოდა რას ნიშნავს, როდესაც სხვას გულ სტკენ, ტანჯავ, იყენებ. ამიტომაც გასწირა იგი ცხოვრებამ სასტიკად. თუმცა ზურაბის სიკვდილი მხოლოდ მამისთვის არ ყოფილა

საბედისწერო, მან შურისძიებისგან დაბრმავებული ვარდუაც დასაჯა. დურმიშხანის ეგოისტურ საქციელს მანაც მსგავსად უპასუხა.

მწერალი დანიელ ჭონქაძე ქართულ ლიტერატურაში პირველად შეეხო ცრუწმენებსა და მათ უარყოფით გავლენას. მან ხმამაღლა ამხილა ის ადამიანები, რომლებიც სარგებლობდნენ ხალხის გაუნათლებლობითა და ჩამორჩენილობით. ისედაც დაჩაგრულ, ეკონომიკურად განადგურებულ გლეხკაცობას მკითხაობები კიდევ უფრო უკან სწევდა. ნაწარმოებში კარგადაა გამოკვეთილი თავად მკითხავებიც რამდენად დაღლილები არიან ამდენი ტყუილისა და სიყალბისგან. „რა არის ამბობს ახალგაზრდა მკითხავი ბევრჯერ ისე შევწუხდები ხოლმე, რომ არ ვიცი რა ვქნა... ადამიანი მოდის, მართალი საჭიროება აქვს ტირის, გეხვეწება გაფიცებს, რომ მართალი უთხრა და შენ უნდა დაუწყო ეშმაკმა იცი რა?“ (კ.ლორთქიფანიძე, გ.ნატროშვილი 1963წ: გვ30) როდესაც დურმიშხანისგან მოტყუებული ვარდუა მიდის უფროსს მკითხავთან, აღიარებს მის სინდისის ქენჯნას „თუმცა მომდიოდა ტირილი, მაგრამ მაინც კიდევ გავუშალე ქერი და უთხარი, რო გორიჯვარი და არბოს წმინდა გიორგი ელოცნა და ისენი დასჯიდნენ ორგულს“ (ლორთქიფანიძე, 1963:30). უფროსის პასუხი კი ის გახლდათ, რომ უფრო შორს უნდა გაეგზავნა იგი, რათა უკან მალე არ დაბრუნებულიყო. სწორედ ასე ახერხებდნენ ისინი ისედაც გაუბედურებული გაუნათლებელი ხალხის კიდევ უფრო გაუბედურებას.

მწერალმა ნათლად დაგვანახა თუ რა გავლენა ჰქონდა ცრუწმენობას ხალხზე. მკითხავის რჩევის საფუძველზე გაწირა ხალხმა ახალგაზრდა ზურაბი. მოთხრობა „სურამის ციხეში“ კარგად არის ნაჩვენები ცრუწმენის სიყალბე და სისამაგლე.

დანიელ ჭონქაძემ „სურამის ციხე“ რასაკვირველია, იმდროინდელ ქართულ სინამდვილეს გვისახავს. მასში აღწერილი მოვლენები, პერსონაჟები რეალური ფაქტებიდანაა აღებული, თუმცა მწერალმა იმისთვის, რომ კიდევ უფრო მკვეთრად, მწვავედ წარმოეჩინა მაღალი ფენის თავგასულობა, და ასე ვთქვათ ნაწარმოები დაეცვა კრიტიკისა და თავდების კლანჭებისაგან, იგი ლეგენდის სახით შეფუთა. მოთხრობა იწყება იმის აღწერით, თუ როგორ ატარებდნენ დროს ზაფხულის სიცხისგან

შეწუხებული თბილისელი ახალგაზრდები ქალაქ გარეთ. ამ ახალგაზრდებს შორის თავად ავტორიც ყოფილა. მათი მთავარი გასართობი იმით შემოიფარგლება, რომ „მორიგე პირს უნდა ეთქო ერთი მოთხრობა ანუ ანდაზა, ანუ რასაც უნდა რა ჩვენი საქართველოს ცხოვრებიდან“ (ლორთქიფანიძე, 1963:3) ამბავს იწყებს ნიკო, რომელიც ჰყვება დურმიშხანისა და ვარდოს სასიყვარულო ისტორიას, ხოლო შემდეგ ახალგაზრდები რიგის მიხედვით აგრძელებენ დაწყებულ ამბავს ამ წესის მიხედვით მთავრდება მთლიანი ტექსტიც.

მსგავსი თხრობის ხერხი, რა თქმა, ცენზურისათვის თვალის ასახვევად იყო გამოყენებული. ამავე მიზნით გამოიყენა ავტორმა ლეგენდა გავრცელებული ციხის კედლებში დედისერთა ვაჟის დატანების შესახებ. სურამის ციხეში მოყვანილი ზურაბის კედელში ჩატანების ამბავი გარკვეულწილად განსხვავდება იმ ლეგენდისგან, რომელიც სცოდნოდა დანიელ ჭონქაძეს. იქაც საჭირო იყო მისნის სიტყვებიდან გამომდინარე კედელში ცოცხალი ადამიანის ჩატანება, თუმცა ეს პროცესი განსხვავებულად მიმდინარეობს. დედისერთა ვაჟი ზურაბი თავად გამოთქვამს სურვილს მისნის სიტყვების აღსრულებისა, თუმცა მისანი თავადვე შეაჩერებს მას. მისი თქმით ქვეყანას, რომელსაც მსგავსი ვაჟკაცები ჰყავს, არ სჭირდება ციხე-სიმაგრე. სწორედ, ამ ლეგენდაზე დაყრდნობით დაწერა დანიელ ჭონქაძემ „სურამის ციხე“, მაგრამ ცხადია, გარკვეულმა პირობებმა აიძულა იგი ცვლილებები შეეტანა მასში.

როგორც ალექსანდრე ხახანაშვილმა თვლიდა, ლეგენდა სხვადასხვაგვარად ყოფილა გავრცელებული მსოფლიოში. საქართველოში „სურამის ციხის“ მსგავს ლეგენდას ჰყვებოდნენ არაერთ კუთხეში. ქართველთა შორის ეს თქმულება მეტად პოპულარული ყოფილა. რა იყო ამის მიზეზი? იქნებ ქართველმა ხალხმა მასში მათივე ცხოვრების ნგრევისა და აღდგენის სიმბოლო შენიშნა. ამ ციხესიმაგრის ნგრევისა და აშენების პროცესს მოგვაგონებს მწერლის მიერ ნაჩვენები მუხრანბატონის დაქცეული სასახლე.

დანიელ ჭონქაძე აგროვებდა ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. თავისუფლად შეიძლება, ვფიქროთ, რომ სწორედ, ამ გზით გაიგო მან „სურამის ციხის“ ლეგენდა. მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ის კუთხე, საადაც ჩვენი მწერალი აღიზარდა, მდიდარია სხვადასხვა თქმულებებით.

ავტორმა, აშკარად, კარგად იცოდა ხალხური ლექსი „არსენა“. ნოდარი ხომ იდეურად მას ენათესავება. ორივენი ბატონყმობის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მაგრამ, განსხვავებით არსენასგან, ოსმან-ალა (ნოდარი) მეტად მკაცრია. არსენას სიტყვები: „ათი წელი ყაჩაღად ვარ, კაცის სისხლი არ მაძევს“, მას საერთოდ არ შეეფერება. განსხვავებით ნოდარისგან არსენას ბრძოლის ველი მეტად ფართოა. იგი უპირისპირდება არა მხოლოდ ბატონს, არამედ მეფის მოხელეებსა და ვაჭრებსაც.

„სურამის ციხეში“ ლეგენდა სინამდვილესთან იმდენად ორგანულადაა შერწყმული, რომ იგი ტექსტისადმი ინტერესს კიდევ უფრო აცხოველებს.

„სურამის ციხე“ ტყვიის გავარდნასავით გახლდათ იმდროინდელ საქართველოში. ეს ნაწარმოები აშკარა მხილება იყო თავგასული, თავხედი ბატონების წინააღმდეგ. სააშკარაოზე გამოვიდა დაჩაგრულ ხალხთა სასტიკი ყოფა. ხმამაღლა ითქვა, თუ რა დამცირებას, შეურაცხყოფას იტანდა გლეხი, როგორ ანადგურებდა ეს ყოველივე მათ როგორც ხორციელად, ასევე სულიერადაც. ნაწარმოებში შეფარვის გარეშე არის ასახული ბატონის გარყვნილი, აღვირახსნილი დამოკიდებულება ყმების მიმართ.

დანიელ ჭონქაძის პერსონაჟები რეალური ცხოვრებიდანაა აღებული. ერთერთი მათგანია თავადი წერეთელი, რომელმაც საკუთარი შვილიშვილი როგორც ნივთი, ისე გაუჩუქა. ასეთივეა თავად მამა, მას შვილს უჩუქებდნენ და თავად ამ დროს მშვიდად ნადირობდა. მუხრან-ბატონი გლეხებში ადამიანსაც კი ვერ ხედავდა და ყოველ წამს შესაძლო მათთვის შეურაცხყოფის მიყენება და ასე იქცეოდა კიდევ. ანალოგიურია ნოდარის ბატონი, რომლის ბილწმა, ბოროტმა, დაუნდობელმა ბუნებამ ნოდარის და მისი ოჯახის ცხოვრებაც შეიწირა, ვერაგულად წაართვა ყველაფერი, აიძულა, მასთან ეცხოვრა და ემსახურა მისთვის. გადაწყვიტა მისი გაყიდვა, არაფრად

ჩათვალა დედის ხვეწნა-მუდარა, ცრემლი, ტკივილი. ესეც არ აკმარა, მოუკლა დედა და შემდეგ ნოდარის სატრფო აიძულა, სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაესრულებინა.

გავიხსენოთ პატარაობიდანვე თავიდან მოშორებული დურმიშხანი, რომელსაც ბატონყმობამ ბავშვობიდანვე გამოაცალა ნორმალური ცხოვრება, არ აღირსა ოჯახის სიყვარული მხოლოდ იმიტომ, რომ მას გლეხის დედა ჰყავდა. მკაცრმა და დაუნდობელმა გარემომ მას არაერთი ტანჯვა, ცემა, დამცირება გამოატარა, დაუმახინჯა სული, წაართვა ადამიანური გრძნობები. დურმიშხანს არ შეეძლო სიყვარული ადამიანებისა, მათ ისე უყურებდა, როგორც პირადი სურვილების შესასრულებელ მასალას, რომლის გამოყენების შედეგადაც შეეძლო, ფული ეშოვნა.

სწორედ, ასეთ უკიდურეს სოციალურ პრობლემებს ებრძოდა დანიელ ჭონქაძე. იმ საკითხზე, რასაც ბატონყმობა ქვია საკმაოდ მწვავედ და ღიად საუბრობს მწერალი თავისი ნაწარმოებით. იგი ყოველგვარი შეფარვის გარეშე გვანიშნებს, რომ არ არსებობს ბატონსა და გლეხს შორის მამაშვილური ურთიერთობები, არც ყოფილა და არც არასდროს იქნება.

ვინ არის ოსმან-ალა? რატომ იქცა ნოდარი ოსმან-ალად? ვის მიუძღვის ბრალი მის დაღუპვაში?

ოსმან-ალა მოთხრობის ერთი ტრაგიკული პერსონაჟია, რომელმაც საშინლად იწვნია დრომოჭმული წყობის სისასტიკე და უსამართლობა. მის დაღუპვაში, რა თქმა უნდა, ბატონს მიუძღვის ბრალი. სწორედ მან წაართვა ყველაფერი, მიწიდან დაწყებული, საყვარელი ადამიანებით დამთავრებული. ნოდარი ზუსტად აღწერს ბატონების დამოკიდებულებას გლეხებისადმი:

- „იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულვილი, იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ არ გვაქვს გული, არ შეგვიძლია გასჯა (ლორთქიფანიძე, 1963:16)“.

„სურამის ციხეში“ მწერალმა დახატა შემადრწუნებელი სურათი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა. მოთხრობაში დაგმოზილია ის ბარბაროსობა, უსამართლობა, რომელიც საფუძვლად ედო ბატონყმურ ურთიერთობას. ავტორმა სრულიად დამაჯერებლად აღწერა, თუ როგორ ჰქოლავდნენ ფეხქვეშ დაბალი ფენის უფლებებს. ბატონები უგულოდ ჰყიდნენ გლეხებს, სინდის ხდიდნენ ქალებს, დედებს შვილებს ცხვირწინ ართმევდნენ, ატარებდნენ უაღრესად დიდ ადამიანურ ტანჯვას, უთელავდნენ თავმოყვარეობას, გუთანში და კვერში აბამდნენ ადამიანებს.

ეს მოთხრობა მრისხანე განაჩენი გახლდათ ფეოდალური კლასის მიმართ. პირველ ყოვლისა, დანიელ ჭონქაძე ეროვნული და სოციალური საკითხებით იყო დაინტერესებული. მისი მიზანი ხალხზე ზრუნვა იყო. ნაწარმოებში პირუთვნელად არის მხილებული ფეოდალიზმის საშინელი სახე. მხოლოდ ნოდარის ისტორიის გაგებაც კი საკმარისია იმისთვის, რომ მკითხველმა დაინახოს ის სასტიკი ადამიანები, რომელიც ფეოდალიზმმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შეინარჩუნა.

მწერალმა მოთხრობაში სოციალურ საკითხებთან ერთად, აღგვიწერა დურმიშხანისა და გულისვარდის სასიყვარულო თავგადასავალი. ამ ერთი შეხედვით რომანტიკულ ისტორიაში, დიდი სოციალური ვნებები და კლასობრივი დაპირისპირებებია ნაჩვენები. ავტორი მაშინაც კი, როცა სიყვარულის თემას ეხება, ყურადღების მიღმა არ ტოვებს სოციალურ პრობლემებს და იქვე ამახვილებს ყურადღებას.

დანიელ ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხე“ მეტად საინტერესო და საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ავტორმა ზუსტად განჭვრიტა და გვიჩვენა იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკური წინსვლის გზა და მიმართულება, რომელიც ფულისა და ვაჭრობის აღორძინების განვითარებით მიმდინარეობდა. თუ დანიელ ჭონქაძის თანამედროვეების შემოქმედებაში ახალი ფენის, ვაჭრების წარმომადგენლები გაქართველებული სომხებია, „სურამის ციხეში“ უკვე დაბალი ფენის წარმომადგენლებიც, გლეხებიც იგემებენ ფულისა და ვაჭრობის გემოს.

გლებკაცობა სწორედ, მასში ჰხედავდა ბატონყმობისგან განთავისუფლების ერთადერთ გზას. დურმიშხანი ეუბნება ვარდოს: - „წავალ, ვიშოვი ფულს, გავმდიდრდები და ისევ მოვალ შენთან“. სწორედ, ფული აგრძნობინებდა მას სიცოცხლის ძალას, მისთვის მხოლოდ იგი იყო თავისუფალი ცხოვრების საწინდარი. დურმიშხანს ერთადერთი რამის სწამდა და სჯეროდა - მას მხოლოდ ფულის საშუალებით შეეძლო, ყოფილიყო სრულიად ბედნიერი, რადგან მთელი თავისი განვლილი ცხოვრების განმავლობაში მას ის ხალხი ამცირებდა, ვისაც სიმდიდრე გააჩნდა. რა თქმა უნდა, დურმიშხანი შეცდა დიდების ძიების გზაზე, მან გაანადგურა ყველაფერი რაც კი მნიშვნელოვანია. მან უღალატა ვარდოსა და მის სიყვარულს, უღალატა ოსმან-აღას მეგობრობას და ნდობას. ფულს შესწირა ყოველი კეთილი გრძნობა, რაც კი გააჩნდა, გააკერპა და გააღმერთა იგი.

ავტორი კარგად ხედავს კაპიტალისტური ცხოვრების ძალას, ხედავს, რა გზითაც მიდის ის. შიმშილისგან, დამცირებისგან, გამოსული გლებკაცობა მხოლოდ ფულის ყოვლისშემძლეობას აღიარებს და მზად არის ყველაფერი დათმოს მისთვის. თავად დურმიშხანიც სხვასაც იმდენად აფასებს, რამდენად შეძლებს მისი წყალობით ცხოვრების მოწინავე ხაზზე იგრძნოს თავი. „ბედნიერი შემთხვევა დურმიშხანს ოსმან-აღას (რომელიც აგრეთვე ვაჭრობით გამდიდრდა) შეახვედრებს მისი შემწეობით დურმიშხანი სავაჭრო ოპერაციებს მარტო საქართველოში კი არ აწარმოებს, არამედ საქართველოს გარეთაც. სტამბოლი მან თითქოს თავის ქვეყანად გაიხადა. მთელი მისი ოცნება ფულის მოგების გარშემო ტრიალებს, რათა ცხოვრების სარბიელზე დამოუკიდებელი მდგომარეობა შეიქმნას“ (ლორთქიფანიძე,1963:33).

როგორ წარმოიდგენს იგი შვილის მომავალს?

- „დურმიშხანი დაფიქრდა და წარმოიდგინა როგორ გაზრდიდა შვილს. აი ხედავს და ახლავს თავის ნათლიას, დიდ მეიდანზე გდია დიდი ქვა და იმაზე დგას ვერცხლის თასი. აი გამოაჭენა ერთმა თავადის შვილმა ცხენი, წამოიგდო თოფი ესროლა თასს, მაგრამ ააცდინა; აი მოდის მეორე, მანაც ვერ მოარტყა. აქ მოაჭენა ცხენი იმისმა შვილა, კოხტად გადმოიგდო თოფი ესროლა და გადააგდო თასი.

კითხულობენ ვინ არის ეს ყმაწვილი? თითონ მეფე იკითხავს იმის დედ-მამას და გამოჩნდება, რომ ის არის დურმიშხან წამალადის შვილი. რა ბედნიერი იქნება მაშინ დურმიშხანი. აი მისი შვილი, ჯერ ჭაბუკი შედგა ბერად, ერთხელ მისი ნათლია შეხვდება კათალიკოსს და თავის ნათლულის კითხვას აქებს იმასთან. კათალიკოსმა წაიყვანა თავისთან აკურთხა ილუმნად, არხიმანდრიტად და ბოლოს ეპისკოპოზად. შვილი ზის ცხენზე და წინ მიუძღვის დროშას და მოჰყავს საეკლესიო ჯარი“ (ლორთქიფანიძე, 1963:35)

აი, რა არის დურმიშხანს მიზანი მისთვის უმთავრესი ფული და დიდებაა. მაშინ ხომ აღარც თავადს დაუხრის თავს, თუ მისი შვილი წარმატებული და ძლევამოსილი იქნება. საკუთრი შვილის მომავალშიც კი იგი ეძებს გზას თუ როგორ გახდეს კიდევ უფრო მდიდარი და ძლევამოსილი.

მწერალმა აშკარა გახადა და მიგვითითა, რომ საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს ზნედაკარგული ბატონი კი არა, მშრომელი ხალხი, გლეხობა წარმოადგენდა. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ბატონყმური ცხოვრება სამარცხვინო ბოძზე გაეკრა და ემხილა. დანიელ ჭონქაძე გვიხატავდა საქართველოს სამწუხარო, შემზარავ სინამდვილეს. იგი არ კმაყოფილდება მხოლოდ ამ პრობლემის თავის ნაწარმოებში წარმოჩენით, არამედ ზუსტად მიუთითებს, თუ ვინ არის ამ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი.

მოთხრობა ერთგვარი შემახილია ხალხის გამოსაფხიზლებლად, მათ დასარაზმად, რათა ხმა აემალღათ სოციალური თუ ეროვნული უთანასწორობის წინააღმდეგ. დრო იყო რეფორმებისა, ბრძოლისა. მხატვრული ნაწარმოები „სურამის ციხე“ კი ამ მოწოდების საზოგადოებამდე მიტანის საუკეთესო გზა გახლდათ. ტექსტის ყოველი სტრიქონი სავსეა თავისუფლების, თანასწორობის წყურვილით. მშრომელი ხალხის თანაგრძნობა და სიყვარულია ავტორის მამოძრავებელი ძალა. მან ყოველ ხერხს მიმართა იმისთვის, რომ ეჩვენებინა საზოგადოებისთვის, რაოდენ საჭირო იყო იმდროინდელი მსოფლმხედველობის შეცვლა, ბატონყმური ურთიერთობის დამხობა. იგი გვიხატავს პერსონაჟთა სახეებს, გვიჩვენებს მათ

სულიერ სამყაროს, თუმცა აშკარაა, რომ მისთვის პრიორიტეტული არა არის გმირთა ხასიათების გამოკვეთა, უმეტესი მათგანის ბოლომდე შეცნობაც კი ვერ მოხერხდება, სამაგიეროდ, ის არაჩვეულებრივად ხატავს ეპოქის სახეს, თუ რა ყოფაში უწევდათ თავისი ნაწარმოების გმირებს ცხოვრება. პერსონაჟთა ხასიათის თავისებურებებით კი არ გვიხატავს იმ დროინდელ საქართველოს, არამედ პირიქით.

დანიელ ჭონქაძემ სრულიად სამართლიანად და ნათლად აღწერა თუ როგორი „მამაშვილური“ ურთიერთობები არსებობდა გლეხებსა და ბატონს შორის, თუ როგორ ზრუნავდა ბატონი მათზე, როგორ „უყვარდათ“ მებატონესა და გლეხს ერთმანეთი. მოთხრობა „სურამის ციხე“ ბატონყმური ურთიერთობების სრულიად სამართლიან კრიტიკას წარმოადგენს. მასში ასევე დიდი ადგილი უჭირავს ეროვნულ პრობლემატიკას.

თავი II. „სურამის ციხე“ და ქართველი კრიტიკოსები

მწერალი დანიელ ჭონქაძემ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება თავისი მამხილებელი ხასიათის მოთხრობით „სურამის ციხით“. ქვეყნისა და თითოეული ქართველისათვის მტკივნეული საკითხი - უსამართლობა და მის წინააღმდეგ ბრძოლა - იყო ამის გამომწვევი მიზეზი. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესი არ შემდგომ პერიოდში შესისტებულა. ამჯერად, საბჭოთა კრიტიკა ინტერესდება ამ მოთხრობით და იწყებს მის გამოყენებას პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ. ფილიპე მახარაძის ინიციატივით, დაიწყო ნაწარმოების გაანალიზება მხოლოდ სოციალური პრობლემების ჭრილში და სხვა აქტუალური საკითხების უგულვებელყოფა. ამ ყველაფრის წინააღმდეგ გამოსვლას იწყებს თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობა და იწყება „სურამის ციხის“ შესწავლის საინტერესო პერიოდი - მკვლევრები მხატვრული ტექსტს პირუთვნელად იკვლევენ.

დანიელ ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხის“ პირველი ნაწილი 1859 წელს, ხოლო მეორე ნაწილი 1860 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“. იგი საზოგადოებას დიდი სიამოვნებით მიუღია. მხატვრული ნაწარმოების ირგვლივ არაერთი პოზიცია გამოიკვეთა, ძირითად, ნაწარმოებს განიხილავდნენ როგორც ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ მძლავრ იარაღს. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ გამოჩნდა მწერალზე გამწყრალი რამდენიმე მემამულეც, რომელმაც შესაძლოა მოთხრობაში აღწერილ ბატონში საკუთარი თავი ამოიცნო.

გარდა ბატონყმური სისტემის მხილებისა, ზოგიერთი მკვლევარი მასში სხვა უფრო მნიშვნელოვან იდეას ხედავდა, ეს იყო „ცოდვის პრობლემა“. მათი შეფასებით, ეროვნული და სოციალური პრობლემის მიღმა იმალებოდა ადამიანის ცოდვილი ბუნება, სულიერი ღირებულებებისგან დაცლილ პიროვნებებში მკვლევარებმა „სურამის ციხის“ მთავარი სათქმელი აღმოაჩინეს. თხზულება მთელი ქართული ინტელიგენციის ყურადღების ცენტში მოხვდა. თითქმის ყველა საზოგადო მოღვაწემ შეაფასა „სურამის ციხე“ .

აი, რას წერს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე მოთხრობა „სურამის ციხის“ შესახებ:

- „სურამის ციხეს“ ძლიერ კითხულობდნენ ხალხში, როცა მოთხრობა დაიბეჭდა, მოკლე ხანში ისე გაიყიდა, რომ პოვნაც აღარ შეიძლებოდა. ეს გარემოება ანუ ხალხისგან ასე მალე შეყვარება და კითხვა თვით დანიელ ჭონქაძესაც გაეგო და ამ გარემოებით ნასიამოვნები იყო და სხვა ასეთი მოთხოვნების წერასაც აპირებდაო“ (გამეზარდაშვილი, 1975:403)

თავად რედაქტორისთვისაც დანიელ ჭონქაძე მეტად ღირსეული და ნიჭიერი მწერალი ყოფილა. მწერლის გარდაცვალების შემდეგ ჭიჭინაძე შემდეგნაირად გადმოგვცეს კერესელიძის მიერ მწერლის სიკვდილით გადმოცემულ განცდებს:

- „კერესელიძემ სთქვა: „ ჩემთვის დანიელის სიკვდილი მეხის დაცემა იყო. მე იმედი მქონდა რომ მისი მოთხრობებით „ცისკარს“ ხალხში გავავრცელებდიო“ (გამეზარდაშვილი, 1975:404) ავტორის სასაფლაოსთან მდგარ რედაქტორს ხმამაღლა და ტირილით წაუკითხავს მისთვის მიძღვნილი ლექსი:

„აწ ხმას გცემ მიხვალ არ მისმენ თითქოს რომ შორით სავალსა,

გუშინ გლახ-კაცსა ჰფარავდი, ვლიდი მათ საქმეს ახალსა,

დღეს ყურს არა თუ ათხოვებ-აღარც კი აძლევს სალამსა“

(გამეზარდაშვილი, 1975: 404)

დანიელ ჭონქაძის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ „ცისკარში“ დაიბეჭდა აკაკი წერეთლის „სურამის ციხის“ ავტორის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი „მოგონება“. მართალია, მასში პირდაპირ არ არის მოხსენიებული მისი სახელი და გვარი, თუმცა მითითების გარეშე მკითხველისთვის აშკარა ხდება, ვის გულისხმობდა პოეტი ლექსში. აკაკი წერეთელი დადებითაც აფასებს მწერალს. აღიარებს მას როგორც ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ, გლეხთა ინტერესების მცველ მწერალს. მგოსანი თავის ლექსში წერს:

„ჰა წარმომიდგა თვალწინ ჭაბუკი

გაჭირვებისგან რომ ცრემლსა ღვრიდა

მაგრამ მტკიცე და პატიოსანი,

უფროსების წინ თავს არა ჰხრიდა.

უშლიდა მოძმეთ სულით მდაბლობას

ჰგმობდა მათ შორის ის უპირობას

მაგრამ ეტყოდნენ რაგვარ მადლობას?

ემუქრებოდნენ ტყავის გაძრობას!

დაჩაგრულ გლეხებს ფერებოდა

დიდკაცებს ჰგმობდა პირუთნეველად,

მისთვის მას ყველა ემტერებოდა

ყველას მიაჩნდა საზიზღარ გველად (გამეზარდაშვილი, 1975:406)“.

ბატონყმური სისტემას, სამწუხაროდ, დამცველებიც გამოუჩნდნენ. ისინი შეეცადნენ, ეს ურთიერთობა პატონყმობად წარმოედგინათ. მათი პოზიციის და ინტერესების დაცვა პირველად ალექსანდრე ორბელიანმა იკისრა.

1859 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა ალექსანდრე ორბელიანის წერილი „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“. იგი ამტკიცებდა, რომ

ბატონყმობაში მართალია არის სიტყვა ყმობა, თუმცა საქმე მონობასთან არ გავქვს, რომ ეს ცრუ ბრალდებაა. მისი აზრით, ბატონსა და გლეხს შორის მამაშვილური დამოკიდებულება იყო მხოლოდ და მხოლოდ. „უწინდელ დროში გარეშე კაცი ეძებდა: მებატონე ვიშოვნო და იმას შევეხიზნო, ამისთვის რომ მებატონე თავის ყმასა შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გულის სტკიოდა ყმისათვის, როდესაც მებატონე და გლეხი ერთად იქნებოდნენ. გლეხი ბატონის პატივისცემაში იყო, ვითარცა მამისა და მებატონე სიყვარულს აჩვენებდა გლეხსა, ვითარცა საკუთარ შვილსა. ასე და ამგვარად იყვნენ ერთმანეთში გაერთიანებული მებატონენი გლეხებთან წრფელის გულით“ (გამეზარდაშვილი, 1975:407).

მსგავსი დამოკიდებულების საფუძველად ორბელიანს ქრისტიანული რელიგია მიაჩნია. იგი ბატონყმურ ურთიერთობებში მამაშვილურ დამოკიდებულებებს ხედავდა, ამიტომაც მიაჩნდა, რომ ეს ურთიერთობა განმტკიცებული იყო ქრისტიანული მორალისა და მრწამსის ზუსტად დაცვით.

ალექსანდრე ორბელიანს სურდა, მოესპო საზოგადოებაში დანიელ ჭონქაძის მიერ გამოხატული პოზიცია ბატონყმობასთან დაკავშირებით. მას დაუწერია სტატია „დართულს დართული“, მაგრამ ანტონ ფურცელაძის „სურამის ციხის“ სამართლიანი შეფასების შემდეგ, მისი გამოქვეყნება გადაუფიქრებია. მისი წყენა განსაკუთრებით იმან გაამძაფრა, რომ დანიელ ჭონქაძეს კონკრეტულად ჰყოლია დასახელებული ის მებატონეები, რომლებსაც ეხებოდა ნაწარმოებში აღწერილი ამბავი. ალექსანდრე ორბელიანი წერს:

- „ჭონქაძემ, რომ თავისი თხზულება გამოსცა თვალ-ყურის დევნება დავუწყეთ, ვინ რას იტყოდა? არავის არაფერი უთქვამს გარდა ორისა ამისთვის, რომ პირდაპირ იმათზე იყო მიმართული ის თხზულება და იმათი სახელიც გამოყვანილი. ამისთანა თხზულებაში, ასე პირდაპირ დაწერა ამ პირებზე არა გაზრდილობას იტყვიან. ევროპაში ხომ ის განათლებულები სისხლსაც შეასხამენ ერთმანეთს“ (გამეზარდაშვილი, 1975:426).

ალექსანდრე ორბელიანი „სურამის ციხის“ ავტორს „უზრდელს“ უწოდებს, რადგან მას პირდაპირ მიუთითებია იმ მებატონეებზე, რომლებზეც ჰქონია საუბარი. ორბელიანი არაფერს ამბობს იმ „ზრდილობიან“ მებატონეებზე, რომლებმაც არაერთ გლეხს გაუნადგურეს ცხოვრება. იგი დანიელ ჭონქაძეს უწუნებს სათქმელის გადმოცემის მსგავს ხერხს. მწერლის პირდაპირობა მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ორბელიანის აზრით, „რომანისა და მოთხრობის მიმართულეა იმაში მდგომარეობს, რომ მოვლენა გადმოსცეს. გაფრთხილებით და ფარულად სახელების გამოყვანით, რომ განგაში არ მოხდეს ხალხში. ვისზედაც არის უწყინარ იგრძნოს, დაიჯეროს და გასწორდეს კიდევ თვისში“ (გამეზარდაშვილი, 1975:426).

ალექსანდრე ორბელიანი დურმიშხანისა და ოსმან-აღას ისტორიას გაგონილ ჭორზედ აგებულ ზღაპარს უწოდებს. მისია აზრით, მწერალს გადაუჭარბებია მებატონეთა სისასტიკის აღწერა, მაგრამ ვერც ბოლომდე უარყოფს მსგავსი ფაქტების არსებობას. „კევრში შებმა და კალოში სირბილი დედაშვილისა, მართალია თუ არა? მე ნამდვილი ვიცი, გაგონილს ჭორზედ არის აშენებული ის თხზულება ჭონქაძისა ის საკვირველი ოსმან-აღა? რაო რაებია, ის იმდენი მიკერ-მოკერა. წაყვან-წამოყვანა, გაქცევ-გამოქცევა. მართალია ახლანდელის ჩვენის ზოგიერთის მებატონეებისგან ბევრჯერ მომხდარა თავისი ყმების ძირიანათ აკლება და ჯარიმების წართმევა, მაგრამ ეს ამგვარი საქმეები სრულებით არ მომხდარა. ნამეტნავად იმ პირებისგან, ვისზედაც ამბობს ჭონქაძეო“ (გამეზარდაშვილი, 1975:427).

ალექსანდრე ორბელიანი მარტო არ იბრძოდა ბატონყმობის პოზიციის განმტკიცებისთვის. მის მოსაზრებას იზიარებდა ბევრი სხვა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მათ შორის იყვნენ გრიგოლ ორბელიანი, გერონტი ქიქოძე.

გერონტი ქიქოძის აზრით, „ როგორც მხატვარმა, დანიელ ჭონქაძემ უწყებული ხარკი მიუძღვნა თავისი დროის გემოვნებას და მის მოთხრობაშიც უხვად მოიპოვება რომანტიკული ფანტასტიკა, მხოლოდ ესაა, რომ ეს შემზარავი სცენები, ეს დემონური ვნებები, ეს ჯადოქრობა და მკითხაობა, ეს ციხის კედელში ჩაკვირული და ერთი-მეორეს გადახვეული და ხანჯლებით განგმირული მიჯნურები ავტორს

იმისთვის დაჭირდა, რომ შესაფერ მუქ ჩარჩოში ჩაესვა ჰუმანისტის კალმით დახატული ღრმა დრამატული სურათები, მკაცრი მემამულეები, რომლებიც ყმებს ურემში და კევრებში აბამენ, ან თურქეთში ჰყიდებიან, სასოწარკვეთილი გლეხები, რომელნიც მებატონეებს გაურბიან და სარწმუნოებას იცვლიან კონსპირაციის მოსაზრებით, მღვდლები, რომლებიც აღსრულების საიდუმლოებას ამჟღავნებენ და სხვ. ბოლოს დიდად დამახასიათებელია, რომ დანიელ ჭონქაძე ერთ თავის გლეხს ათქმევინებს სიტყვებს, რომელნიც აჯანყებული ფრანგი გლეხების ერთი ცნობილი სიმღერის პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს (ევგენიძე, 1972:143).

ძველი თაობის წარმომადგენლები იბრძოდნენ არა ზოგადად ბატონყმობის წინააღმდეგ, არამედ ცალკეული ბატონის შეუფერებელი საქციელის მიმართ. ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე შეუძლებელი იყო მებატონეთა თავგასული და თავხედური საქციელის დამალვა.

რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება მოკლებული იყო საღ აზრს. ძველ თაობას არ სურდა იმის აღიარება, რომ ბატონყმობამ გლეხებს ყველაფერი წაართვა. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები კი დარწმუნდნენ იმაში, რომ ბატონყმობა სხვა არაფერია, თუ არა დრომორჩმული, უვარგისი, უსამართლო სისტემა, რომელსაც არაერთი გლეხის თავისუფალი ცხოვრება ეწირებოდა. ამკარაა, რომ ბატონყმობა გამორიცხავს ყოველგვარ მამაშვილურ ურთიერთობებს.

მოთხრობის „სურამის ციხის“ თანამედროვე კრიტიკა მაქსიმალურად შეეცადა, უკანა პლანზე გადაეტანა ავტორის მკაცრი მხილება. მათ არ სურდათ, მხატვრულ ნაწარმოებს ოდნავი გავლენა მაინც მოეხდინა მკითხველზე. ამიტომაც ამტკიცებდნენ, რომ ნაწარმოებს საფუძვლად უდევს, არა ტიპური მოვლენები, არამედ შემთხვევით აღებული ფაქტები, რომლებიც არაფერ შუაში გახლდათ იმ ბატონყმურ ურთიერთობასთან, რომლითაც მოცული იყო მთელი ქვეყანა. პირველი მწერალი, რომელმაც საჯაროდ ისაუბრა ამ საკითხზე და ამხილა თავგასული მებატონეები, დანიელ ჭონქაძე გახლდათ. „სურამის ციხე“ მკაცრი პასუხია ბატონყმური სინამდვილის წინააღმდეგ.

სურამის ციხის შესახებ საკუთარი შეფასებები და პოზიციები გამოთქვა ისეთი დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებამ, როგორც არჩილ ჯორჯაძე იყო:

- „1895 წელს ორი საწინააღმდეგო რამ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“. ერთი იყო წერილი ალექსანდრე ორბელიანისა „უწინდებულ დროს ბატონყმობისა“ და მეორე-დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“. პირველი ნაწილი ამ ორ სხვადასხვა მიმართულების ნაწარმოების გამოქვეყნება იმას გვეუბნება, რომ ქართულ საზოგადოებაში უკვე იყო ორი მიმდინარეობა, აზროვნების ორგვარი მიდრეკილება“ (ი.ევგენიძე ლ.მინაშვილი 1972წ, გვ 139). მისი აზრით, ალ. ორბელიანმა ვერ მოახერხა, დაედგინა თავადური ფსიქიკა, თუმცა მაინც ყოველთვის თავისუფლებისა და ერთობის მომხრე იყო. „ვამბობ შეუცნობიერად, რადგან სიტყვით ერთობას და თავისუფლებას აღიარებს“ (ევგენიძე, 1972:139).

„სურამის ციხის“ შეფასებებმა ერთმანეთს ორი მხარე დაუპირისპირა. ერთ მხარეს გახლდათ ალექსანდრე ორბელიანი და მისი თანამოაზრენი, რომლებიც იზიარებდნენ ორბელიანის პოზიციებს ბატონყმობასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხარეს დანიელ ჭონქაძის თანამოაზრენი აღმოჩნდნენ. ისინი ღიად დაუპირისპირდნენ ბატონყმობის დამცველებს. მათ შორის მიმდინარეობდა ბრძოლა მწვავე სოციალური საკითხის ირგვლივ. მეტად საინტერესოა ჟურნალ „ცისკარის“ რედაქტორის ივანე კერესელიძის სიტყვები, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძისთვის უთქვამს: „როცა მე მისი წერილი (ალ. ორბელიანის „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“-დ.გ) დავბეჭდე „ცისკარში“, მაშინათვე გაჩნდნენ ისეთი მოლაპარაკენი, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ იმის აზრების და სულ სხვას ლაპარაკობდნენ, ერთი ამათგანი იყო დანიელ ჭონქაძეც, რომელმაც სურამის ციხე“ დასწერა, ვინც ალ. ორბელიანის მოთანხმენი იყვნენ ისინი „სურამის ციხეს“ ეწინააღმდეგებოდნენ; ერთი მეორის შესახებ მაშინ ზოგიერთებმა წერილებიც დასწერეს, მაგრამ მე ვერა ვბეჭდავდი „ცისკარში“ წყენას ვერიდებოდი“ (გამეზარდაშვილი, 1975:42).

„ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილმა წერილებმა გამოააშკარავეს, რომ მწერალი მარტო არ იყო. მის მოწოდებას ჰყავდა გამგრძელებლებიც, რომლებიც მომავალშიც გააგრძელებდნენ ბრძოლას უსამართლო სოციალური წყობის წინააღმდეგ.

თაობათა ჭიდილის მკაცრი ბრძოლის პერიოდში, როდესაც „ცისკარს“ არაერთი კრიტიკის ქარცეცხლში მოუწია გავლა, მასში გამოქვეყნებული მასალების გამო კ. ლორთქიფანიძე მაღალ შეფასებას აძლევს დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეს“. მიუხედავად იმისა, რომ მან სრულიად ვერ შეძლო ტექსტის ღირებულებების ჩვენება, ეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო ანტონ ფურცელაძემ, რომელმაც ვრცელი სტატია მიუძღვნა მოთხრობას.

ანტონ ფურცელაძემ აღნიშნა, რომ დანიელ ჭონქაძე სხვა მწერლებისგან განსხვავებით, მეტად წინ წავიდა და შექმნა რეალისტური ნაწარმოები, რომელიც მეხისგავარდნასავით იყო მებატონეებისთვის და ზოგადად ბატონყმური სისტემისთვის. აი, როგორია მისი პოზიცია ნაწარმოებთან დაკავშირებით:

„უცებ გამოდგა ასპარეზზე დ. ჭონქაძე თავის „სურამის ციხით“ ეს თხზულება - რასაკვირველია, სიხარულით იყო მიღებული რედაქტორისგან და მაშინვე, თუმცა მოკრძალებით და შიშით დაიბეჭდა. ამ თხზულებამ დასცა საშინელი ელდა და მოსწყვიტა წელი დავარდნილ ხალხსა და ძველი აზრების პატრონებსა. ბატონები „ოსმან-აღისა“ დარჩნენ პირდიანი. ჯერ დიდხანს ვერ მოეგენ ცნობასა და ბოლოს როდესაც მოიპოვეს გრძნობა, დახედეს, გადაიღეს, გადმოიღეს ეს თხზულება და როგორც სარკეში, ისე დაინახეს თავისი თავი. სწორედ ჩვენა ვართ! ჰსთქვეს ყველამ ხმით, მაგრამ საქვეყნოთ კი არა სტყდებოდნენ, როგორც შეჰხამს დამნაშავეს და იძახდნენ: საშინელი ცილი შეგვწამა, ჩვენ ამის მოქმედნი არა ვართო. განათლებულმა საზოგადოებამ, რასაკვირველია შენიშნა თხზულება; ახალგაზრდა მოსწავლეთა ითქმის გაიზვიანეს“ (გამეზარდაშვილი, 1975: 429).

ანტონ ფურცელაძემ სრულიად სამართლიანად შეაფასა მოთხრობა „სურამის ციხე“. მან ზუსტად დაინახა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ტექსტს

საზოგადოებისთვის. ეს ნაწარმოები გახლდათ მოდრულულ ცაზე მზის გამოჩენასავით.

ანტონ ფურცელაძე მხოლოდ დადებითად როდი აფასებდა მწერალს, მასე ასევე ჰქონდა შენიშვნები დანიელ ჭონქაძესთან. იგი საყვედურობს მას გმირთა ინდივიდუალური ხასიათის გამოკვეთაში. მისი აზრით, ნაწარმოებში სუსტადაა აღწერილი ბუნების სურათები, ასევე არ მოსწონს ის ფაქტიც, რომ „სურამის ციხეში“ სამწერლობო ენა გადატვირთულია რუსიციზმით.

ანტონ ფურცელაძემ ყველა სხვა მკვლევართან შედარებით, მეტად მართებული შეფასება მოგვცა „სურამის ციხისა“, თუმცა მისი სტატია „თერგდალეულებმა“ უარყოფითად შეაფასეს და ჩათვალეს, რომ ანტონ ფურცელაძის მიერ მოცემული შეფასება არ იყო ბოლომდე მართებული. გიორგი წერეთლის მიერ ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ წერილში „ცისკარს რა აკნინებდა“ საუბარია „სურამის ციხის“ შესახებ. წერეთელი იწუნებს მის სტატიას და თვლის, რომ ნაწარმოების მორალის შეფასებით ანტონ ფურცელაძის მიზანი „ცისკარის“ დამსახურების ჩვენება იყო, რაზეც რასაკვირველია თერგდალეულებს სულ სხვა შეხედულება ჰქონდათ.

გიორგი წერეთელი დაუსაბუთებლად მიიჩნევს აზრს „სურამის ციხის“ გმირთა ინდივიდუალური ხასიათის სისუსტის შესახებ. მას არ მოსწონს ცისკარში გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა მხატვრული ღირსების შეფასება: „სად გვიჩვენა მან („ცისკარმა“-დ.გ) ის ორი ხასიათი ქალისა და ვაჟისა, რომლებიც ასე ღრმად და საკვირველად არიან გამოხატული „სურამის ციხეში“? სად განიკვლია მან ის მიზეზები და გარემოება, რომელმაც შექმნა ეს ხასიათები, ამისთანა ბოლოს ღირსნი, როგორც ამ რომანშია ნაჩვენები“ (გამეზარდაშვილი, 1975:431).

როგორც ვხედავთ, „სურამის ციხის“ სამართლიანი შემფასებელნი იყვნენ ალექსანდრე წერეთელი, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ანტონ ფურცელაძე. ისინი მწერალში ხედავდნენ მათ წინამორბედს, რომელმაც სამართლიანად გაიგო და აღწერა საზოგადოებრივი ჩამორჩენილობის რეალური

მიზეზები და გამოაშკარავა ბატონყმური ურთიერთობების ბოროტი სახე. ასევე გამოიკვეთა დამოკიდებულება ადამიანის ცოდვილი ბუნებისა და სიყვარული სამშობლო მიწისა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რადიკალურად შეიცვალა დამოკიდებულება მოთხრობა „სურამის ციხისადმი“ და მხატვრული ნაწარმოების მთავარ და ერთადერთ პრობლემად ბატონყმური ურთიერთობების წინააღმდეგ ბრძოლა გამოცხადდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ფილიპე მახარაძე, რომელიც დანიელ ჭონქაძის შესახებ წერდა: „სამწუხაროდ, ბატონ-ყმობის ისტორია ჩვენში ჯერ არ დაწერილა... ამ წიგნში ჩვენ გვსურს გავაცნოთ მკითხველს ერთი მწერალი, რომელმაც ჩვენში პირველად ამოიღო ხმა ბატონ-ყმური წესწყობილების წინააღმდეგ, რომელმაც პირველად დაგმო იგი, საზოგადოებას გადაუშალა მისი შემადრწუნებელი და აუტანელი მხარეები. ამ მწერლის სახელი დანიელ ჭონქაძეა“ (გელიტაშვილი, 2014: 106). 1929 წელს მან წიგნად გამოსცა ნაშრომი „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“, რომელშიც მეტად საყურადღებო ახალი მასალები და პოზიციები შეჰმატა ნაწარმოების შესწავლის საკითხს, მაგრამ ავტორმა ეს ყოველივე, სამწუხაროდ, მცდარ კონცეფციას ანაცვალა და მის საფუძველზე წარმოგვიდგინა დანიელ ჭონქაძის შემოქმედებითი შესაძლებლობები.

იგი იჩენდა უსამართლო დამოკიდებულებას ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობისადმი. მან ყველა ქართველი კლასიკოსი მწერალი, დაწყებული რუსთაველით დამთავრებული ილიათი და აკაკით, მწარედ გააკრიტიკა. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად კი მისთვის საკმარისი აღმოჩნდა მწერლის სოციალური მდგომარეობა. ფილიპე მახარაძემ არასწორი გზა აირჩია. იმისათვის, რომ დანიელ ჭონქაძე ერთ-ერთ მოწინავე მწერლად დაესახელებინა, შეეცადა, დაეკნინებინა ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების დამსახურება. ის სამოციანელების წინააღმდეგ ბრალდებით გამოდიოდა, თითქოს მათ „ჭირვით ეჯავრებოდათ ჭონქაძე და მისი „სურამის ციხე“ (გამეზარდაშვილი, 1975: 432). რა თქმა უნდა, ეს პოზიცია ცდება ყოველგვარ საღ აზრს, რადგან სწორედ სამოციანელები გახლდათ პირველი დამფასებელნი „სურამის ციხისა“.

ფილიპე მახარაძემ დიდი ზიანი მიაყენა დანიელ ჭონქაძეს. მან იგი მოსწყვიტა ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესს.

ჩნდება კითხვა - იქონია თუ არა რაიმე გავლენა ქართულ მწერლობაზე დანიელ ჭონქაძემ?

ფილიპე მახარაძის პასუხი შემდეგნაირი იყო: „სამწუხაროთ, უნდა აღვიაროთ, რომ თითქმის სრულიად არავითარი“ (გამეზარდაშვილი, 1975:432) იგი შეეცადა, მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობა მოერგო დანიელ ჭონქაძის შემოქმედებაზე, რამაც იგი მცდარ კონცეფციამდე მიიყვანა.

დანიელ ჭონქაძემ „სურამის ციხე“ დაჩაგრულ გლეხობას უძღვნა, რომლებსაც ბატონყმობამ წაართვა ყველაფერი. ნაწარმოებში ნათლადაა ასახული სოციალური უთანასწორობის მიზეზებიც და შედეგებიც. შეიძლება ითქვას, რომ მან თერგდალეულებს ერთგვარი საფუძველი მოუმზადა, მათი საქმიანობის გასაგრძელებლად.

პროფესორი ხუნდაძე ფიქრობს, რომ რეალისმა მწერალმა სოციალურ პრობლემასთან ერთად სხვა აქტუალურ საკითხებზეც მიაპყრო მკითხველის ყურადღება. იგი შემდეგნაირად აფასებს 60-იანი წლების საზოგადოებრივ აზრსა და დანიელ ჭონქაძის შემოქმედებით გზას: „ახალთაობის ინტელიგენციამ ენერგიულად გაილაშქრა დახავსებული წყობილების, ბატონყმური ურთიერთობისა და სქოლასტიურ-რელიგიური აზროვნების წინააღმდეგ და ქართულ ლიტერატურაში რაციონალიზმის, უტილიტარიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპები შემოიტანა. პირველი მერცხალი ამ ახალი აზროვნებისა იყო ქართველი „რაზნოჩინელი“ დ. ჭონქაძე, რომელმაც აუცილებლად განიცადა რუსეთის 60-იანი წლების რადიკალური მიმდინარეობის ცხოვლიმყოფელი გავლენა და რომელმაც პირველმა მიიტანა იერიში ქართულ ლიტერატურაში ბატონყმური უღელის წინააღმდეგ. შემდეგი თაობა, რომელმაც განაგრძო დ. ჭონქაძის გატკეპნილი გზა იყო „თერგდალეულთა“ თაობა, რომლებმაც ფართე ლიტერატურული ხასიათის ბრძოლა გააჩადა ძველი, თავადაზნაურული აზროვნების წინააღმდეგ...“ (გამეზარდაშვილი, 1975:435).

რა თქმა უნდა, პროფ. ხუნდაძის შეფასება სავსებით სამართლიანია, მაგრამ გარკვეულწილად მასაც გადაუჭარბებია დანიელ ჭონქაძისა და თერგდალეულთა შორის ურთიერთობის დახასიათება. დანიელ ჭონქაძეს, რასაკვირველია, არ გაუტკეპნია ის გზა, რომელიც შემდგომ თერგდალეულებმა გაიარეს, თუმცა პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით მაინც დანიელ ჭონქაძემ გადადგა. ეს არ იყო მცირე მოვლენა, რომელიც არ იმსახურებდა დიდ ყურადღებას, რასაკვირველია, მწერალს დიდი წვლილი მიუძღვის ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის გამოც იგი თერგდალეულთა წინაპრად შეიძლება მოვიხსენიოთ.

გრიგოლ კიკნაძე შემდეგნაირად საუბრობს „სურამის ციხის“ შესახებ: „დ. ჭონქაძემ გააშიშვლა ბატონყმური ურთიერთობა და მკაცრად დაგმო მითი ბატონსა და ყმას შორის ე.წ. „მამაშვილური“ დამოკიდებულების შესახებ“ (ევგენიძე, 1972:139)

„სურამის ციხე“ მისი გამოქვეყნებისთანავე მიიღეს როგორც ბატონყმობის წინააღმდეგ დაწერილი მოთხრობა. ეს პოზიცია განსაკუთრებით უფრო გამყარდა კომუნისტების ხანაში. ბოლშევიკები ქართულ ლიტერატურას დანიელ ჭონქაძით იწყებდნენ, ვიდრე სტალინმა არ მიანიშნა კულტურულ მსოფლიოს რომ ქართული ლიტერატურა უნდა დავიწყოთ შოთა რუსთაველით და ამასთანავე, საჭირო იყო ილია ჭავჭავაძისა და სხვა კლასიკოსების წვლილის აღნიშვნა ქვეყნის წინაშე.

1875 წელს გ. თუმანიშვილმა გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა სტატია დანიელ ჭონქაძის შესახებ იგი წერდა: „როდესაც არამც თუ ჩვენში, არამედ რუსეთშიაც ჯერ მხოლოდ რამოდენიმე განათლებული ახალგაზრდა ფიქრობდა ბატონ-ყმობის მოსპობაზე, ჭონქაძემ დაწერა მოთხრობა, რომელშიაც ზოგიერთი ჩვენებფური ბატონები ცუდად გამოჰყავს“ (გელიტაშვილი, 2014:105)

გაზეთი ახალი აზრი დანიელ ჭონქაძის შესახებ შემდეგნაირ მოსაზრებას გამოთქვამს „მისი (დ. ჭონქაძის-თ.გ) ყურადღება მიიპყრო იმ დროის ბატონყმურ წესების არსებობის სიღუბჭირემ და ყმათა ცხოვრებიდან დასწერა მოთხრობა სურამის ციხე“ (გელიტაშვილი, 2014:105)

„დ. ჭონქაძის როგორც ქვეყნის შვილის, მოქალაქის, მწერლის თვალმა საკმარისი სიზუსტით დაინახა დიდი სახალხო უბედურება, რომლის ძირიც საუკუნეთა სიღრმეში იკარგებოდა. ეს სახალხო უბედურება იყო ბატონყმური ურთიერთობა“- აღნიშნავდა სოლომონ ხუციშვილი (გელიტაშვილი, 2014: 106)

არკადი ხუნდაძე ჭონქაძის „სურამის ციხის“ შესახებ წერდა: „დ. ჭონქაძე პირველი მწერალი იყო, რომელმაც დასვა ბატონყმობის ყოფნა-არყოფნის საკითხი“(გელიტაშვილი, 2014:106).

„დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ უდაოდ პირველი და მძლავრი ნასროლი იყო ბატონ-ყმობის წყვედადით მოცულ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში“-აცხადებდა მიხეილ ზანდუკელი (გელიტაშვილი, 2014:106).

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში“ ნამდვილად არის წარმოდგენილი ბატონყმობის პრობლემა. თუმცა ეს საკითხი ამ ნაწარმოების ერთ-ერთი კომპონენტია. აკაკი ბაქრაძის ნარკვევებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაწარმოების მხოლოდ ბატონყმობის პრობლემის თემაზე დაყვანა არასწორი იქნებოდა.

აკაკი ბაქრაძემდე არავის უცდია სხვა ჭრილში ნაწარმოების განხილვა. იგი პირველი მკვლევარი გახლავთ, რომელმაც მოთხრობაში ბატონყმობის იქეთ სხვა პრობლემაც დაინახა. მისი შეფასებით, მხატვრული ტექსტი მრავალკომპონენტური და მრავალწახნაგაა სწორედ ამის გამო ხშირად ძნელდება ნაწარმოების მხატვრული იდეის ამოცნობა.

მკვლევარმა აკაკი ბაქრაძემ ათასჯერ განხილული ბატონყმობის პრობლემის გარდა გაცილებით უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი პრობლემა დაინახა და სრულიად განსხვავებული თვალთ შეეცადა დაენახებინა მკითხველისთვის მოთხრობა „სურამის ციხე“. მისი წერილი „სურამის ციხის გამო“ 1980 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“. მკვლევარ აკაკი ბაქრაძის აზრით, „სურამის ციხე“ ვერ იქნებოდა ბატონყმობის წინააღმდეგ დაწერილი მოთხრობა, რადგან ნაწარმოების გამოქვეყნებისას (1859-1860 წწ.) რუსეთში ბატონყმობის

გაუქმების საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო, რასაკვირველია, საქართველოშიც ყველასთვის ნაცნობი იქნებოდა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი სიტყვა, სადაც იგი საუბრობდა ბატონყმობის გაუქმების რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით. უკვე მთელი ქვეყნის კომიტეტები ატარებდნენ შესაბამის ზომებს საქმის ბოლომდე მისაყვანად. ეს ყოველივე თავად ავტორმაც მშვენივრად იცოდა. ნაწარმოების დასაწყისში დანიელ ჭონქაძეს რიყეზე შეკრებილ ახალგაზრდებს შორის ერთ-ერთ ყმაწვილად გამოყვანილი ჰყავს ლიბერალი თავადი ლ.დ. მას დიდი „გულმოდგინებით სურდა ყმების გათავისუფლება“, ამიტომაც მიიჩნევს აკაკი ბაქრაძე, რომ მოთხრობის მთავარი იდეა ბატონყმობის პრობლემის მიმართულებით არ უნდა წავმართოთ.

„ობიექტურნი თუ ვიქნებით ეს უფრო იმდროინდელი კონიუნქტურა იყო. თუ მწერალს მაინც უპირებდნენ კუკიის ხიდიდან გადაგდებას ან ცემას, ეს ქართველი თავადაზნაურების ერთი ნაწილის გონებაჩლუნგობას მოწმობს და არა „სურამის ციხის“ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტად, მაშინ უნდა გამოვტყდეთ და ვაღიაროთ, რომ იგი მეტად დაგვიანებული პროტესტია „სურამის ციხის“, როგორც მხატვრული ნაწარმოების ღირსება სულ სხვა რამ არის და არა ოდენ ბატონყმობის მხილება. თუმცა ფილიპე მახარაძით დაწყებული დღემდე მიწყივ ამას ვიმეორებთ და მეტი არაფრის დანახვა არ გვინდა, მართალია ეს პროტესტი მოთხრობაში მძლავრად ჟღერს, მაგრამ ვიმეორებ ეს მაინც არ არის“ სურამის ციხის“ აზრობრივი შინაარსი“ (გელიტაშვილი, 2014, : 108).

იმისთვის, რომ მკითხველმა სწორად გაიგოს „სურამის ციხის“ აზრობრივი შინაარსი აკაკი ბაქრაძის აზრით, საჭიროა გავიხსენოთ ნაწარმოების პერსონაჟები და მათი ცხოვრება.

„სურამის ციხის“ პერსონაჟებიდან ყველაზე მწარედ ბატონყმობის სისასტიკე ნოდარმა, იგივე ოსმან-ალამ განიცადა. იგი გაყიდეს, დედასთან ერთად გაქცევის მიუხედავად მაინც იპოვა ბატონმა და სასჯელის სახით, როგორც ცხოველი, ისე შეაბა დედასთან ერთად უღელში, რის შედეგადაც მან დაკარგა ის ერთადერთი ადამიანი,

რომელიც მასზე ზრუნავდა. ესეც არ აკმარა ბატონმა და ნოდარის სატრფო თვითმკვლელობამდე მიიყვანა. ოსმან-ალა ნაწარმოებში განიკითხავს ბატონების გულქვაობას, სისასტიკეს, დაუნდობლობას და საერთოდ ამ სისტემის უსამართლობას, თუმცა მიუხედავად ამისა იგი არა რის ყმათა ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგი. დურმიშხანზე მისი ნათლულის მითხოვების შემდგომ, ის საპატარძლოს მშობლებს ყმებისა და მამულის ყიდვას ჰპირდება.

ამ მონაკვეთის შემდგომ აკაკი ბაქრაძე შემდეგ კითხვას სვამს: „განა ის ყმები, რომელთაც ოსმან-ალა იყიდის ისევე არ დაიჩაგრებიან, დაიტანჯებიან, ეწამებიან, როგორც ნოდარი, როცა იგი ბატონმა კახეთიდან ჩამოსულ მღვდელს მიჰყიდა? უდავოა, რომ ნოდარის დანაშაული არაფრით განსხვავდება მისი ბატონის დანაშაულებისგან, სამწუხაროდ, ამ ყველაფრის გააზრება და გაგება ყოფილ ყმას არ ძალუძს. მას ყველაზე კარგად უნდა ესმოდეს რას ნიშნავს, იყო ყმა გლეხი. ამიტომაც, აკაკი ბაქრაძე მცდარ პოზიციად მიიჩნევს ქართულ ლიტერატურაში გავრცელებულ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ „სურამის ციხეში“ ოსმან-ალა ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი პერსონაჟია.

თუ მეტად სიღრმისეულად ჩავწვდებით პერსონაჟთა ცხოვრებას, დავინახავთ, რომ ოსმან-არა შურისმაძიებელი ყმაა, რომელმაც ბატონს დედის მკვლელობაც კი აპატია და რომ არა ნატოს ტრაგედია, იგი არც იძიებდა შურს მასზე. მხოლოდ საყვარელი ქალის სიკვდილი აღმოჩნდა მისთვის ბოლო წვეთი, რის შემდგომაც მანაც დაკარგა წონასწორობა და მოკლა არა მარტო ბატონი, არამედ ამოხოცა მთელი მისი ოჯახიც. დიახ, მის სინდისზე უდანაშაულო ბავშვის სიცოცხლეა, ამიტომაც გრძნობდა იგი თავს დამნაშავედ მთელი მისი ცხოვრება. ეს ცოდვა მას არ აძლევს საშუალებას იცხოვროს მშვიდად, მუდამ თან დასდევს უდანაშაულო ბავშვის აჩრდილი. იმისთვის რომ ცოდვები მოენანიებინა, იგი დაუბრუნდა უფლის გზას და ტანჯვისთვის გაწირა თავი. ნოდარმა თავისი ნახევარი ქონება დურმიშხანს, მისცა ნაწილი კი ეკლესიას შესწირა. ამ საქციელის გამო, მაჰმადიანებმა სასტიკად აწამეს, როდესაც ვერაფერს გახდნენ სიკვდილით დასაჯეს.

ამ ფაქტს აკაკი ბაქრაძე შემდეგნაირად ხსნის : „მკაფიოდ ვხედავთ, რომ ოსმან-აღას სამშვიდველის მოძრაობა მთლიანად განპირობებულია ცოდვით მისი გამოსყიდვის დაუძლეველი სურვილის წარმართავს მის მოქმედებას“ (გელიტაშვილი, 2014:109).

სოციალურმა უსამართლობამ ჩაადენინა ოსმან-აღას ცოდვა. იგი არასოდეს გახდებოდა ცოდვილი, მისი ბატონი მხეცურად, რომ არ მოქცეულიყო. მის პიროვნებაში თავს იყრის, ერთიანდება სოციალური და ზნეობრივი დანაშაულის შედეგი. ოსმან-აღა ერთი მხრივ, მსხვერპლია ბატონის ბოროტმოქმედებისა და მეორე მხრივ-საკუთარი დანაშაულის. ამიტომ დაიშალა მისი პიროვნება , რაც მისი ფიზიკური დაღუპვით დამთავრდა (გელიტაშვილი, 2014:109).

აკაკი ბაქრაძე ყურადღებას ამახვილებს ნაწარმოების კიდევ ერთ მთავარ გმირზე, დურმიშხანზე. ზნეობრივი დანაშაული ყველაზე მძაფრად სწორედ ამ პერსონაჟის საშუალებით გვიჩვენა მწერალმა. ისიც ბატონყმური ურთიერთობების ჩაგვრის მსხვერპლი იყო, მაგრამ როცა გულისვარდი მოატყუა, მაშინ მისი საქციელი მხოლოდ პიროვნული ზნედაცემულობით იყო გამოწვეული. ნოდარისგან განსხვავებით სოციალური უთანასწორობით გამოწვეული შურისძიება არაფერ შუაში გახლდათ. აკაკი ბაქრაძე წერს: „დურმიშხან წამალადის მშვიდვიერი მდგომარეობა უფრო მრავალპლანიანია, ვიდრე ოსმან-აღასი, იგი უხნიერი (უკანონო) შვილია. ბავშვობისას მას განსაკუთრებული ტანჯვა არ განუცდია და ბატონის სახლში შედარებით ნებიერად იზრდებოდა, მაგრამ ერთ დღეს მისი „კეთილდღეობა“ დაირღვა. წერეთელთან სტუმრად მოსულ მუხრანბატონს მოეწონა დურმიშხანი და ბიჭიც სასწრაფოდ აჩუქეს. ამან დურმიშხანის დედას თავზარი დასცა. საცოდავი ქალი გადაჰყვა შვილის დარდს. დურმიშხანი ახალი ბატონის ოჯახში მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა. „ვინც რამეს დააშავებდა ყველა ჩემი ბრალი იყო: ვინ მოიპარა? იმერელმა. ვინ გატეხა? იმერელმა. ვის დასცინიან? იმერლის ბიჭს. ვის სცემენ გაჯავრებულ გულზე? იმერლის ბიჭს..... მე, ვარდო, ბევრჯერ მიგმია ღმერთი ჩემი გაჩენისთვის , ბევრჯერ მიტირნია მწარე ცრემლითა, მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშისმცემელი? არავინ“ მართალია, დურმიშხანი ბატონყმური ყოფის მძიმე

სურათს ხატავს, მაგრამ მკითხველს აქვს უფლება მის გულწრფელობაში დაეჭვდეს. ამის საფუძველს იძლევა დურმიშხანის რეალური მდგომარეობა და პიროვნება“ (გელიტაშვილი, 2014:110).

გულისვარდის თხოვნის შემდეგ ქალბატონი წამალაძეს ათავისუფლებს ყმობისგან. მეტად საინტერესოა დანიელ ჭონქაძის მიერ ნახსენები ქალბატონის სახელი-გვარი - მარიამ წერეთელი. ის მეტად კეთილი, მოწყალე პიროვნებაა, განსხვავებით ოსმან-აღას სასტიკი ბატონისგან. ბატონმა ნოდარს ცოლის შერთვის ნება არ მისცა. ესეც არ იკმარა და ნატოს გაუპატიურებაც მოისურვა. დურმიშხანი კი პირველივე მოთხოვნისთანავე გაათავისუფლეს ყმობისგან. ასევე გაააზრტა ქალბატონმა გულისვარდიც. ნათელია, რომ ის არ უშლის ხელს ყმებს ეწიონ ოჯახურ ბედნიერებას. ამ შედარების ფონზე ნათლად გამოჩნდა განსხვავება ოსმან-აღასა და დურმიშხანის ბატონებს შორის. აკაკი ბაქრაძის აზრით, მწერალმა ორი სახის ბატონი წარმოგვიდგინა. ნოდარის ბატონი - მხეცი, სასტიკი, დაუნდობელი და დურმიშხანის - ყურადღებიანი და შემწყნარებელი. როგორც თავად წამალაძე აღნიშნავს მას ყმობის პერიოდში წიგნიც უსწავლია, ენებიც და ხელობაც.

აკაკი ბაქრაძე თვლის, რომ გულისვარდთან დურმიშხანის გულისმომკვლელი, სევდიანი საუბარი მხოლოდ თვალთმაქცობაა პირადი მიზნების მისაღწევად და მეტი არაფერი. ამას ადასტურებს მისი ფიქრებიც უკვე გამდიდრებულს, რომ უტრიალდება თავში. „რო ის არა ყოფილიყო, ხომ არ განმათავისუფლებდა ბატონი, რა კარგად მოვიქეც , რანაირად ვაჩვენე თავი, რომ მითომ მიყვარდა, მაგრამ ღმერთმანი, ღირდა სასიყვარულოთ, რამდენი ვატყუე საწყალი, რო მოვალ-მეთქი“.

ამ სიტყვებიდან მკაფიოდ ჩანს დურმიშხანის რეალური ჩანაფიქრი. იგი კარგად ახერხებს გულისვარდის მანიპულირებას, თითქოს მეტად დრამატიზებულს ხდის მის ისტორიასა და ემოციებს. ყველაფერი სწორედ ისე წარიმართა, როგორც დაგეგმა - გათავისუფლდა და ახლა კიდევ უფრო ახლოს იყო მის სანუკვარ ოცნებასთან, ბევრი ფული ემოვა. ამ ყველაფრის შემდგომ მას ვარდო აღარ სჭირდებოდა. იგი ადამიანებს

როგორც საგანს ისე უყურებდა, რომელიც მანამ ფასობდა სანამ მის გამოყენებას შეძლებდა, როგორც კი გულისვარდის საშუალებით მიზანს მიაღწია უმტკივნეულოდ დაივიწყა იგი.

მხოლოდ ანგარება წარმართავდა მის ყოველგვარ საქციელს, არც ცოლი შეურთავს სიყვარულით. ამიტომ არაა გასაკვირი ის, თუ როგორ მოექცა იგი ოსმან-აღას, ადამიანს, რომლის წყალობითაც ყველაფერს მიაღწია. დურმიშხანი ბატონზე უარესი, დაუნდობელი, უზნეო აღმოჩნდა. მან არც კი მოინდომა ნოდარის ნაწამები ცხედრის დამარხვა, ისევე მარტოვად დაივიწყა როგორც გულისვარდი, რადგანაც მისგანაც ყველაფერი მიიღო, რაც სჭირდებოდა.

რასაკვირველია, დურმიშხანის ტყუილსა და ღალატს უშედეგოდ არ ჩაუვლია. ამ საქციელს გულისვარდმა შურისძიებით უპასუხა. დიდი ხნის განმავლობაში მოთმინებით ელოდა იმ დროს, როცა შეძლებდა საპასუხო ტკივილი მიეყენებინა დურმიშხანისთვის ეს ყოველივე კი მეტად შემადრწუნებელი გზით გააკეთა. მან შემდეგი რჩევა მისცა ვეზირს: „თუ გსურთ სურამის ციხე აშენდეს, დურმიშხან წამალადის ერთადერთი ვაჟი, ზურაბი, უნდა ჩაატანოთ ცოცხლად“.

აკაკი ბაქრაძე შემდეგნაირად აფასებს გულისვარდის საქციელს: „დურმიშხანის ზნეობრივმა დანაშაულმა დაშალა და დაარღვია ვარდოს პიროვნება. შურისძიებაზე ოცნებამ და მისმა მოლოდინმა დააჭკნო, დააბერა და გადააგვარა გულისვარდი. შურისძიებას შეეწირა ზურაბი, იმსხვერპლა დედამისი, შვილის შემზარავი ბედის შემყურე, იგი გაგიჟდა. ქონებრივად მდიდარი, მაგრამ მშვიინვიერად ღატაკი დურმიშხანი ვარდოს სატევართი განიგმირა.“

ცოდვას ბადებს როგორც სოციალური უსამართლობა, ისე ზნეობრივი დანაშაული.... ცოდვა იწვევს არა მარტო უდანაშაულო მსხვერპლს, არამედ ბოროტმოქმედებათა მთელ ჯაჭვს, არღვევს და შლის შურისმგებლის პიროვნებას“ (გელიტაშვილი, 2014:111).

„ახლა უკვე დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ „სურამის ციხის“ პრობლემა ცოდვის პრობლემაა“ (ბაქრაძე, 2013:108).

ლიტერატურათმცოდნე აკაკი ბაქრაძე თვლის, რომ ალეგორიულია თავად სურამის ციხის ლეგენდაც. თუ სოციალურ სინამდვილეს მაღალ ზნეობა არ ექნება სამირკვლად, გამოდის, რომ იგი უსამართლობასა და უზნეობაზეა აგებული. ასეთი სინდისით კი რომელიც მაგალითად დურმიშხანს გააჩნდა, ვერც ბედნიერებას იპოვიდა კაცი და ვერც თავისუფლებას.

აკაკი ბაქრაძე ასე აფასებს სურამის ციხის მხატვრულ ღირებულებას „ბატონყმური უსამართლობის მხილება, ზნეობრივი დანაშაულის გამოაშკარავება კი ძირითადი აზრობრივი შინაარსის ცალკეული მოტივებია. ამიტომ არ არის სწორი და მართალი ცალკეულ მოტივებზე ყურადღების გამახვილება და მოთხრობის ძირითადი აზრობრივი შინაარსის მთლიანობა- ერთმთლიანობის მიფუჩეჩება.... „სურამის ციხის“ ღირსება მარტო ბატონყმობის მხილება, რომ იყოს იგი ქართველ მკითხველს კარგა ხნის დავიწყებული ექნებოდა. მაგრამ, თუ ჩვენი საზოგადოება სათუთად ინახავს ამ პაწია მოთხრობას, ეს იმიტომ, რომ ცოდვილი ადამიანის სამშვინველის ტკივილის მარადიულ პრობლემას“ (ბაქრაძე, 2013:110).

XIX საუკუნის საქართველოს ლიტერატურის იდეოლოგია ორი ტიპის გახლდათ: ეროვნული და სოციალური დისკუსიები. როგორ აირეკლა ორივე მათგანი სურამის ციხეში?

ნაწარმოები თავიდან ჩაფიქრებული იყო როგორც “მოთხრობა ანუ ანდაზა“ მოთხრობაში ნათლადაა აღწერილი სურამის ციხის ლეგენდა, შემოსევის, ომის საშიშროება. მწერალი ამ საკითხს მეტად უცნაურად და განსხვავებულად განიხილავს. მთელი ეს პატრიოტული მოტივები სხვა არაფერია თუ არა შურისძიებისთვის მოგონილი საბაზი. საბჭოთა კრიტიკისთვის მთავარი დურმიშხანის მიერ ნათქვამი ფრაზა აღმოჩნდა „ სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება“ მაგრამ ამ ფრაზის მიზანი მხოლოდ გულისვარდის მოტყუება იყო , ამიტომაც საბჭოთა კრიტიკის წარმომადგენლები შეცდნენ, როცა ნაწარმოების მთავარ იდეად ბატონყმობის საკითხი გამოაცხადეს. მართალია, სოციალური საკითხი ტექსტში გაჟღერებულია, მაგრამ არ არის განმსაზღვრელი. დანიელ ჭონქაძემ გვიჩვენა, რომ თავისუფლება ბრძოლითა და ტანჯვით შესაძლოა იქნეს მოპოვებული. ამის აშკარა

მაგალითი ნოდარია, იგი ცდილობს, ჩადენილი დანაშაული საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვით გამოისყიდოს. ის როგორც, ქრისტიანი, უანგარო და კეთილია. შესაძლოა, ამიტომაც თვლიან „სურამის ციხის“ პრობლემას ცოდვის პრობლემად. სოციალური უთანასწორობის პირობებში, ბატონყმობის დროს, როდესაც ადამიანი მარტივად და მუქთად იღებს თავისუფლებას, როგორც ეს დურმიშხან წამალადის შემთხვევაში მოხდა, ეს თავისუფლება მოჩვენებითი ხდება. ამიტომაცაა, რომ მოჩვენებითი თავისუფლება ადამიანში აღვიძებს ანგარებას, სიხარბეს. მსგავს ადამიანებს არ ესმით, რა არის სიყვარული, თანაგრძნობა. მუქთად მოპოვებულმა კეთილდღეობამ მხოლოდ სულიერებისგან დაცლილი გმირი მოგვცა. „დურმიშხან წამალძე - ეს მარადიული სახეა უმადურობისა“ ნათელია, რომ არც ეროვნული და არც სოციალური მოტივი არ გამოგვადგება მოთხრობის გმირების ქმედებების ასახსნელად.

**თავი IV.ნარატივის მხატვრული ფუნქცია დანიელ ჭონქაძის
მოთხრობა „სურამის ციხეში“**

ნარატივი, ეს არის მეცნიერება თხრობის შესახებ. მისი შესწავლის საგანი თხრობის ფუნდამენტური ფუნქციებია. იგი შეიძლება გავიგოთ როგორც ამბის გადმოცემის, მოყოლის შედეგი. მის ძირითად კომპონენტებად მიჩნეულია: დრო, თვალთახედვა სიუჟეტი, პერსონაჟი, როლი. თანამედროვე ნარატოლოგიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამონაგონი ამბავია. ავტორი იღებს უკვე მსოფლიო ლიტერატურისათვის კარგად ნაცნობ თემას გარდაქმნის მას საკუთარ შემოქმედებით ქურაში რის შედეგადაც ვირებთ სრულიად ახალ ვერსიას ნარატივის მრავალფუნქციური გამოყენებით. მისი მხატვრული ფუნქციის გასააზრებლად საჭიროა გავითვალისწინოთ ის, რომ მწერლები სხვადასხვა „ნიუანსების“ წყალობითა და ნარატიული მასალებით, იქნება ეს ისტორიული თუ ლიტერატურული, ქმნიან ახალ მხატვრულ რეალობას. ამ ყველაფერში მათ ეხმარებათ სხვადასხვა ისტორიული ამბავი, ლიტერატურული ნაწარმოებები. მათგან აღებული სხვადასხვა პერსონაჟთა ხასიათები. ამ ყოველივეს ემატება მწერლის ფანტაზია, რის შედეგადაც ვიღებთ სრულიად ახალ შემოქმედების ნიმუშს. თუ კლასიკური ნარატოლოგიისთვის მნიშვნელოვანი სიუჟეტია, თანამედროვე ნარატოლოგიას ნაწარმოების „თემა“ აინტრესებს.

ნარატივისთვის მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ შინაარსი, არამედ სტილიც თუ როგორ გადმოსცემს ამბავს ავტორი. ყურადღება უნდა გამხვილდეს ისეთ კომპონენტებზე როგორცაა: ამბის მოჩარჩოების ხერხები, სიუჟეტის ელემენტთა მთლიანობა, ავტორი და პერსონაჟი, თხრობის პირიანობა, პერსონაჟთა ქმედებები მათი მოტივების მიხედვით, მონტაჟი.

თხრობა ნარატივისთვის ერთ-ერთი ფუნდამენტური მასალაა. ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში ინტერესდებოდნენ იმით თუ რას და როგორ მოგვითხრობდნენ მწერლები და მას როგორც „ეპოსს“ ისე მოიხსენიებდნენ, თუმცა თანამედროვე ლიტერატურაში მან სულ სხვა დატვირთვა მიიღო და ნარატიულ ფუნქციებს შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიჭირა.

ნაწარმოების ნარატიული ფუნქციის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ მისი როგორც შინაარსობრივი ასე ფორმობრივი ფუნქციები. სხვადასხვა ლიტერატურული ტექსტის განხილვისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ არა მხოლოდ შინაარსობრივ მხარეზე, არამედ იმაზეც, თუ რა ფორმით ახერხებს ავტორი ნაწარმოების აგებასა და შექმნას. ფორმობრივი ფუნქციების განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ ნაწარმოების კომპოზიციური აგებულება, ქრონოტიპი ,ტექსტის მხატვრული ენა. ტექსტი შეიძლება დაყოფილი იყოს სათაურების, ფრაგმენტების,სიმბოლოების საშუალებით. დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ დაყოფილია სათაურების მიხედვით, ნაწარმოების თითოეული თავი დასათაურებულია.

რაც შეეხება ქრონოტიპს ლიტერატურული ნაწარმოებები ძირითადად გარესამყაროს დრო-სივრცობრივ ჭრილში უკავშირდებიან. სივრცული და დროული ნიშნების გაერთიანებით ისინი ნარატივს სრულიად ახალ გამომსახველობით სახეებს სძენენ. დანიელ ჭონქაძე დროში თამაშობს ამავს იწყებს თანამედროვე თბილისის, მტკვირის სანაპიროზე თავმოყრილი ახალგაზრდა ყმაწვილების შეხვედრის ამბის თხორბით და შემდგომ ინაცვლებს ისტორიულ საქართველოში,სადაც იხსენებს სურამის ციხის ისტორიას.

ნარატიული ფორმისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ენაა. მისი წყალობით შესაძლებელია ამბის იმ ფორმით წარმოჩენა, როგორც ეს მწერალს სურს. მისი საშუალებით შესაძლებელია განვითარებული სიუჟეტების დაცალკეება ან განვრცობა.

თხრობა ნარატიული ფუნქციის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნიშანია. მას დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში“ მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო ფუნქცია აკისრია. „დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში“ თხრობას სრულიად არადრამატული ფუნქცია აკისრია - გართობა. მეტიც, თხრობის დაწყება შემთხვევითობის ჯაჭვითაა განპირობებული თბილისის სიციხისგან შეწუხებული ახალგაზრდები ქალაქგარეთ ატარებენ სადამოს ამ ახალგაზრდებს შორის ჩვენი მწერალიცაა გარეული. მათი გართობა იმით შემოიფარგლება, რომ „მორიგე პირს უნდა ეთქო ერთი მოთხრობა ან ანდაზა, ანუ რაც უნდა რა ჩვენი საქართველოს ცხოვრებიდან.

თხრობას იწყებს ნიკო, რომელიც დურმიშხანისა და ვარდოს თავგადასავალს ჰყვება. შემდეგში ახალგაზრდები რიგის მიხედვით აგრძელებენ დაწყებულ ამბის თხრობას, ამ წესით იწყება და მთავრდება მოთხრობა.

„მორიგე აღარავინაა, რიგი გათავებულია და არავის უნდა ამბის მოყოლა, შემთხვევითობების ჯაჭვითაა განპირობებული ამბის მოყოლა, შემთხვევით არჩეული მოთხრობელი უარზეა, რადგან არ მომზადებულა“ (ზედანია, 2003:1).

მწერალი ნაწარმოებში მოვლენებს არ აღწერს დეტალურად. პერსონაჟთა ცხოვრების რთული პროცესები ლაკონურადაა გადმოცემული. დანიელ ჭონქაძემ მეტი ყურადღება გაამახვილა ამბის მოქმედების განვითარებასა და გადმოცემას, რაც „სურამის ციხეს“ მეტად დინამიკურობას მატებს.

ნაწარმოების „არასერიოზულობაზე“ სხვა ფაქტორებიც მიუთითებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ტექსტში თხრობაც უცნაურად მიმდინარეობს. ამბავს ყველა რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭი ანუ ჩვენ არ გვყავს ერთი მოთხრობელი, ყმაწვილები ერთანეთის მიყოლებით იწყებენ დაწყებული ამბის გაგრძელებას, ყოველი მონათხრობი მხოლოდ მათი ფანტაზიის ნაყოფია. ეს ყოველივე კი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას რომ ტექსტი მონაყოლი არ არის დამაჯერებელი. „სურამის ციხე“ სავსეა ხუმრობებით .

თხრობას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნაწარმოებში. ტექსტში ავტორს რეალური და გამოგონილი ერთმანეთში აურევია. ისტორიული ნარატივი,

რომელიც გულისხმობს ოსმალების მიერ შემოტევის საშიშროებას, სურამი ციხის ლეგენდას და ავტორის ფანტაზია ქმნის საერთო დინამიკას, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება მათი გაერთიანება და სრულიად ახალი ამბის შეთხზვა. ამით დანიელ ჭონქაძე ცდილობს, მკითხველი დაარწმუნოს იმაში, რომ მის მიერ აღწერილი ფაქტი ნამდვილია, ასე იყო რეალურად და არა ისე, როგორც ეს ისტორიულ წყაროებში ან ძველი პერიოდის ლიტერატურაშია აღწერილი.

ნაწარმოების კითხვისას ისტორიული, ლიტერატურული ნარატივი და მწერლის ფანტაზია ერთმანეთში ირევა. ამ ყველაფრის ფონზე თითქოს დანიელ ჭონქაძე თავისუფლდება ისტორიული და ლიტერატურული წარსულისაგან და სრულიად ახალ „ნარატივებს“ თავისი ნების შესაბამისად იყენებს.

„ნარატივის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია, როდესაც მწერლები იყენებენ „ძველს“, თუმცა „ანახლებენ“, „გადააფასებენ“, თავიანთ „შემოქმედებით ლაბორატორიაში“ გარდაქმნიან მას და გვთავაზობენ მოთხრობილ სამყაროს, ახალ მხატვრულ რეალობას. ამაში მათ ეხმარებათ კარგად ნაცნობი ისტორიული ამბები, ლიტერატურული ნაწარმოებები, მრავალფეროვანი პერსონჟთა გალერიები“ (ბერძული, 2019:19)

მეტად საინტერესოა ენის ნარატიული ფუნქცია თხზულებაში. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება არა ნაწარმოების შინაარსობრივ მხარეზე, არამედ იმაზე თუ რა ფორმით ახერხებს ავტორი ნაწარმოების აგებას.

რასაკვირველია, დანიელ ჭონქაძემ „სურამის ციხით“ ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა ახალი თემა და გზა ამ თემის გაშლისა.

რა იგულისხმება ახალ თემაში? ეს გახლდათ ხალხის უარყოფითი ჩვეულებების გამომჟღავნება, მათი კრიტიკა, მათი უარყოფითი გავლენის გამომჟღავნება ქართულ ლიტერატურაში. ხალხოსანმა მწერლებმა ეს საკითხი დიდი გულისყურით განიხილეს და განავითარეს. ამ საკითხში კი დანიელ ჭონქაძეს ერთ-ერთი მოწინავე პოზიციები უჭირავს.

XIX საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას უკვე დაეტყო ახალი ეკონომიკური ფაქტორის-კაპიტალის განვითარების გავლენა, რომელიც ლამობდა მის გარდაქმნას.

ახალმა დრომ ლიტერატურაში საჭირო გახადა არა მხოლოდ ახალი იდეების, თემების შემოტანა, არამედ საჭირო გახდა ახალი სალიტერატურო ენის შექმნის აუცილებლობაც. ასპარეზზე გამოვიდა ისეთია ახალი ჟანრები როგორც იყო: საყოფაცხოვრებო კომედია, სოციალური მოთხრობა, ახალი ენა, რაშიც იგულისხმებოდა სასაუბრო, დაბალი ფენის ენა.

საყურადღებო ადგილი უჭირავს ენას დანიელ ჭონქაძის შემოქმედებაში. „მამათა“ და „შვილთა“ უთანხმოების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ენა გახლდათ. უმწვავესად წარიმართა მათ შორის დაპირისპირება ძველი ცხოვრების ჩვეულებებისა და ენის გამო. აი, რას წერს ალექსანდრე ორბელიანი ჟურნალ „ცისკარში“ 1860 წელს: „ქართული ენის თვისება სამათ გაიყოფება: პირველი- საღმრთო წერილად ანუ ეკლესიურად, მეორე-დარბაისელთ უბნობად და მესამე- გლეხკაცობის ენად. ახლა თუ ჩემზე მოაგდებთ და ამომარჩევინებთ მე საშუალო ენას ავირჩევ, დარბაისელთ ენას, ამისთვის რომ უფროსთ უწინავე საერო წიგნები დარბაისელთ ენაზე უწერიათ და იმათის ენითვე ულაპარაკნიათ: ვითარცა „რუსუდანიანი“, „ვისრამიანი“, „დავრიშიანი“, „სიბრძნე სიცრუე“ სხვა და სხვანი და ბოლოს ვიტყვი „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი საშუალო ანუ დარბაისელთ ენა ასეთი უნაკლო ანა არის, რომ დიად ადვილად შეიძლება, რომ ესე, რაც უნდა მაღალი საგანი იყოს, იმაზედაც კარგად გამოვა ყოველი ქართული სიტყვიერება. მართლაც ჩვენს საშუალო ქართულ ენას, როგორც გნებავთ ისე მიმოხრით, ისე მიმოაქცევთ და გამოთქმას ხომ ისე ლბილად გაიგონებს ყური, მეტი საამო იყოს საშურისთვი, მაშინ როდესაც გლეხკაცების ლაპარაკი მარტივი ენა არის და ადვილი გასაგონი, მაგრამ მაღალი საგანი ვერ გამოვა რიგიანად, არა ყურის საამოდ , რადგან მოშვებული ენა არის გლეხის ლაპარაკი. ჩემი აზრით, მას ისევ სჯობია იმგვარი ქართული ენა დაიდოს, რომ ყოველს საგანში

საუცხოვო იყოს და ყოველ ფერში მოსახმარებელი“ (ზანდუკელი, 1972:168). ასეთია ზოგადად ენის საკითხისადმი ალ. ორბელიანის პოზიცია.

სწორედ, ენის საკითხი წარმოადგენდა დაპირისპირების მიზეზს ძველსა და ახალ თაობას შორის. მიუხედავად ძველი თაობის წინააღმდეგობისა ლიტერატურაში მაინც იმკვიდრებს მასების ენა. ამ მოვლენის პირველი მკვეთრი გამომჟღავნებელი ქართულ ლიტერატურაში გიორგი ერისთავია თავისი თანამედროვეებით.

ახალმა ენამ ცხადია მოიტანა ლიტერატურისთვის უცნობი ჩვეულებრივი სალაპარაკო ენა, ახალი იდეები, მისწრაფებები და განსხვავებული მსოფლმხედველობა. დიდი წვლილი მიუძღვის დანიელ ჭონქაძეს ლიტერატურის ამ მიმართულების განვითარებაში. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ მან სალიტერატურო ენად ხალხური ენა აქცია.

ამ პოზიციის ნათელი მაგალითია დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ აღნიშნული ნაწარმოები იმდროინდელი ოფიციალური წევრებისთვის მიუღებელი იყო არა მარტო თემის, იდეის თვალსაზრისით, ისე მისი მცდელობით ჩვეულებრივი სალაპარაკო ენის ლიტერატურაში დამკვიდრებისა.

დანიელ ჭონქაძემ „სურამის ციხის“ შინაარსი რეალური ცხოვრებიდან აიღო. ამას ადასტურებს ალექსანდრე ორბელიანის წერილიც. დანიელ ჭონქაძემ ცენზურის თავიდან აცილების მიზნით ნაწარმოები ლეგენდის ფორმით შეფუთა. „სურამის ციხის“ მსგავსი ლეგენდა ძველთაგანვე ცნობილი იყო რუსეთში, ოსეთში და სხვაგან.

„სურამის ციხის“ ლეგენდაში დანიელ ჭონქაძემ გარკვეული ცვლილებები შეიტანა. საქართველოში გავრცელებულ ლეგენდაში ზურაბი თავად დათანხმდა სამშობლოს ხსნისთვის ციხის კედლებში ჩაყოლას, ნაწარმოებში კი ზურაბი მსხვერპლია, რომელიც მისი ნების წინააღმდეგ მოკლეს და გასწირეს გულისვარდის რჩევით. ამ დეტალის ცვლილება სიმბოლურია. დანიელ ჭონქაძე ხვდებოდა, რომ საერთოდ კედლის შენება შეუძლებელი იყო უცოდველი ადამიანის სისხლის გარეშე.

დანიელ ჭონქაძემ შექმნა თხრობითი ტექსტი, რომელსაც საფუძვლად დაუდო ისტორიული ცნობები, ლეგენდები. ყოველი მათგანი შეაზავა ქართული რეალობის ძირითად სატკივართან და შექმნა ნაწარმოები, რომელმაც დიდი სიტყვა თქვა ქართულ ლიტერატურაში.

„სურამის ციხის“ პოპულარობის მიუხედავად, არც თუ ისე ხშირად საუბრობენ მხატვრულ ღირებულებებზე. აკაკი წერეთლის აზრით, თხზულება მხატვრული თვალსაზრისის მიხედვით „ბავშვურია“. დანიელ ჭონქაძის შემოქმედებაში ადამიანის სულიერ სამყაროში მიმდინარე პროცესები კი არა ურთიერთობის ამბად გაფორმებული შედეგებია წარმოჩენილი, რაც ცხადად მიუთითებს მწერლის ჯერ კიდევ მოუმწიფებელ უნარებზე. ალბათ, სწორედ ეს ფაქტორები ჰქონდა თვალთახედვაში აკაკი წერეთელს როცა დაიწუნა მწერლის ენა და მის მოქალაქეობრივ სიმამაცესთან ერთად აღნიშნა, რომ მისი მხატვრული შესაძლებლობები შეზღუდულია.

სამწერლობო ენის განხილვისას აუცილებელია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ დანიელ ჭონქაძე უპირისპირდება არქაისტებს. იგი წერს ხალხური სასაუბრო ენით, მაგრამ ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ მან უბრალო სასაუბრო ენა პირდაპირ გადმოიტანა ლიტერატურაში. მიუხედავ იმისა, რომ მან უარი თქვა არქაულ ფორმებზე, მაგრამ თავი ვერ დააღწია დიალექტების გავლენას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „სურამის ციხე“ დაწერილია დუშეთურ კილოზე.

დანიელ ჭონქაძემ მართალია უარყო ძველი მწიგნობრული ენა, მაგრამ ვერც ის შეძლო სწორად გადაეწყვიტა ახალი სამწერლობო ენის საკითხი. თხზულება უმეტესად დაწერილია სასაუბრო ენით. ამ ნაწარმოების დამსახურებას ისიც წარმოადგენს, რომ მან ხელი შეუწყო მწერლობაში ხალხური მეტყველების განვითარებასა და განმტკიცებას, მაგრამ მასში გარდა კუთხური ფორმებისა ლიტერატურული შეცდომებიც იმდენად ბევრია, რომ „სურამის ციხე“ არ შეიძლება ჩაითვალოს ახალი სალიტერატურო ენის ნიმუშად.

ხანდახან ნაწარმოების მნიშვნელობა იმით კი არ განისაზღვრება თუ რა მხატვრული დონისაა იგი, არამედ იმით თუ რა ზეგავლენას მოახდენს იგი სოციუმზე. დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ ამის ნათელი მაგალითია.

დასკვნა

მწერალმა დანიელ ჭონქაძემ მისი ერთადერთი ქმნილებით, „სურამის ციხით“ დაიმკვიდრა ქართულ მწერლობის ისტორიაში ადგილი. მის მოღვაწეობის პერიოდში ქართულ ლიტერატურამ მეტად საინტერესო პერიოდი გაიარა. ის გახლდათ ერთ-ერთი პირველი მწერალი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბებაში. სწორედ, მისი წყალობით, ქართულ ლიტერატურაში ახალი იდეები და საკითხები იწყებს გაჟღერებას. დანიელ ჭონქაძემ ხმამაღლა ისაუბრა სოციალურ და ეროვნულ პრობლემებზე, ადამიანის ცოდვილ ბუნებასა და იმ უსამართლობებზე, რომლის გამოც ისინი კარგავდნენ ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებს.

ჩვენს დროშიც დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ განხილვისას ერთი შეხედულება დამკვიდრდა: „დ. ჭონქაძემ, გააშიშვლა ბატონყმური ურთიერთობა და მკაცრად დაგმო მითი ბატონსა და ყმას შორის ე. წ მამაშვილური დამოკიდებულების შესახებ“ (კიკნაძე,1972:43) იგი პირველი იყო, რომელმაც პირველად აღიმადლა ხმა ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ. ცხადია, ამ მოსაზრებებს ასაზრდოებდა არაერთი გამოჩენილ კრიტიკოსთა შეხედულებები.

„სურამის ციხეში“ ავტორმა დახატა შემადრწუნებელი სურათები ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციისა. მოთხრობაში დაგმობილია ის უსამართლობა, ბარბაროსობა, რომელიც საფუძვლად ედო ბატონყმურ წყობილებას. ავტორმა

სრულიად დამაჯერებლად გვიჩვენა თუ როგორ ჰქელავდნენ ადამიანების უფლებებს ფეხქვეშ.

ეს მოთხრობა უდავოდ, მრისხანე განაჩენი იყო ფეოდალური კლასის მიმართ, ამიტომაც, გამოიწვია დანიელ ჭონქაძის მოთხრობამ რეაქციულ წრეში დიდი გამოხმაურება.

ნაწარმოებში გამოიკვეთა არა მხოლოდ სოციალური უთანასწორობის საკითხი როგორც ამას კრიტიკოსთა უმეტესობა ფიქრობს ასევე მეტად საყურადღებოა იმ კრიტიკოსთა პოზიციები, რომლებიც თვლიან, რომ ნაწარმოებში „ცოდვის პრობლემა“ წინა პლანზე უნდა წამოიწიოს. პერსონაჟებს მხოლოდ პირადი შურისძიება და მიზნები ამოძრავებდათ ბატონყმობის პრობლემასთან ერთად ტექსტში იკვეთება მოქმედ გმირთა პირადი ბედნიერებისთვის ჩადენილი უსამართლობები.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთ ტრადიციად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ იგი პირველ რიგში ეროვნული და სოციალური საკითხით ინტერესდებოდა, ხალხის ბედზე ზრუნავდა. ამკარაა, რომ ხალხი იმ დროს დაჩაგრული იყო.

ამკარაა, რომ დანიელ ჭონქაძემ „სურამის ციხის“ წყალობით მეტად მწვავედ წარმოაჩინა ბატონყმური ურთიერთობები რის შედეგადაც დიდი აჟიოტაჟიც გამოიწვია. იგი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ამ პრობლემის აღწერით ასევე პირდაპირ უთითებდა თუ ვინ იყო ამ უბედურების მიზეზი. ის ცდილობდა დაერაზმა საზოგადოება ქვეყანაში გაბატონებული უსამართლობის წინააღმდეგ. ამას კი იმდროინდელი საქართველოს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

სოციალურ საკითხებთან ერთად მწერალმა მთელი სიმძაფრით წარმოგვიჩინა პერსონაჟთა სატრფიალო თავგადასავლები. ამ ერთგვარ ვითომ რომანტიკულ ჩარჩოში დიდი კლასობრივ შეხლა-შემოხლის სურათები იმალება. მწერლის მხატვრული ოსტატობა და რეალიზმის სიმძაფრე ერთიანად გამოჩნდა მაშინაც კი , როცა იგი სიყვარულის თემას ეხება, სოციალურ საკითხებს აშუქებს.

დანიელ ჭონქაძე გამომსახველობითი მანერითა და სამწერლობო სტილით მკაცრად ინდივიდუალურია. ის განუყრელია იმ ჰუმანიზმისგან, რომელიც მუდამ ცოცხლობდა ქართულ მწერლობაში.

მწერლის სიყვარული სამშობლოსადმი უაღრესად გულწრფელია. თავის ნაწარმოებით მან შეძლო და მკვეთრად გამოხატა ადამიანის ტანჯვა, სოციალური უთანასწორობანი, სულიერი ღირებულებისგან დაცლილი პერსონაჟები. ის გახლდათ მხატვარი, რომელსაც მეტად საინტერესო და გასაოცარი თვალი ჰქონდა. მან შეძლო და მისი ერთადერთი ნაწარმოებით დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ლიტერატურაში. მას ჰქონდა საოცარი ხედვა, რომლის წყალობითაც კარგად აღწერდა ადამიანების სულისა და საქციელის თავისებურებებს.

მან შეძლო და მკაფიოდ დაგვანახა ყველა ის თვისება, რომელიც შექმნილია ადამიანის სოციალური მდგომარეობით. ის როგორც დაკვირვებული პიროვნება, ადამიანთა გულშემატკივარი სწავლობდა მათ, აკვირდებოდა თავის თანამედროვე ცხოვრებას, რომელიც სავსე იყო უსამართლობით. სწორედ ამ ყველაფრის შედეგია, რომ მისმა ერთადერთმა ნაწარმოებმა ძალიან დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

„სურამის ციხის“ ყოველ სტრიქონში ჩანს თავისუფლების დიდი სიყვარული, ჰუმანიზმი და ზიზღი უსამართლობისა და უთანასწორობისადმი. სწორედ, ამაშია ამ ნაწარმოების ღირსება და უპირატესობა. მისი წყალობით შეგვიძლია დავინახოთ წარსული ეპოქის მართალი სურათები.

დანიელ ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხის“ გამოქვეყნებას, პირველივე დღიდანვე დიდი ინტერესი მოჰყვა. მისი თანამედროვენი ძირითადად მასში სოციალურ პრობლემატიკას ხედავდნენ და განსაკუთრებით ამახვილდებდნენ ყურადღებას ბატონყმობის თანმდევ საკითხებზე. ფაქტია, რომ მწერლის თანამედროვე ქართულმა ინტელიგენციამ აზრთა ჭიდილისა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მოთხრობა „სურამის ციხე“. კითხვას არ ტოვებს იმის შესახებ თუ რატომ დაინტერესდა ავტორი მხატვრულ ნაწარმოებში ნაჩვენები პრობლემებით.

უდავოა, სწორედ იმ დროინდელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია ჭონქაძის მკაცრი კრიტიკა ბატონყმური ურთიერთობისა.

ქართველმა მწერალმა დანიელ ჭონქაძემ „სურამის ციხეში“ ტრაგიკულ ფერებში აღწერა საქართველოში არსებული სამწუხარო რეალობა. იგი თავს დაესხა ქართველ მემამულეებს, ამხილა მათი დაცემა და ზნეობრივი დაკნინება. აღსანიშნავია, რომ მან ყველა თავის თანამედროვეს გადააჭარბა ბატონყმური ურთიერთობის მკაცრ და სასტიკ მხილებაში. ნათელია, რომ ამ საკითხის მსგავსი სიმძლავრით გაშუქება ამაზე ადრე ნამდვილად არ გვექონია.

ეს დამოკიდებულება შემდგომ პერიოდში სათავისოდ გამოიყენა საბჭოთა ხელისუფლებამ და მისი დაკვეთით საბჭოთა კრიტიკამ მოთხრობაში ასახლი სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები უგულვებელყო. განსაკუთრებით აქტიურობდა ფილიპე მახარაძე, რომლის მიზანიც იყო ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარების შეფერხება, დათრგუნვა, მისი ისტორიის რეალური სახის უარყოფა და საბჭოთა კრიტერიუმების შესატყვისად „განხილვა“. პროცესი რამდენიმე ათეულიწლის განმავლობაში გრძელდებოდა და მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო მოთხრობის სწორად შეფასება. აკაკი ბაქრაძემ სოციალურ პრობლემატიკასთან ერთად ეროვნულ და სხვა საკითხებზე მიაპყრო მკითხველის ყურადღება.

ასევე მნიშვნელოვანია, დანიელ ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხის“ შესწავლა თანამედროვე ლიტერატურული თეორიის ნარატოლოგიის გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.III. 1969 წ.;
2. ბერძული ნატო, „ნარატივის ფუნქცია თანამედროვე ქართულ პროზაში“- ნატო ბერძული, ბათუმი, 2019წ.;
3. გამეზარდაშვილი დავით, „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან (XIX საუკუნე)“, თბილისი, 1975 წ.;
4. გელიტაშვილი თამარ, „აკაკი ბაქრაძე- ქართული ლიტერატურის მკვლევარი“, თბილისი, 2014 წ.;
5. ევგენიძე იუზა, მინაშვილი ლადო, „ქართული ლიტერატურა (XIX საუკუნე)“, თბილისი, 1972 წ.;
6. ზანდუკელი მიხეილ, „ახალი ქართული ლიტერატურა“, თბილისი, 1977 წ.;
7. ზანდუკელი მიხეილ, თხზულებანი, ტომი, 1, თბილისი, 1972 წ.;
8. ზედანია გიგა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი “ACADEMIA” - გიგა ზედანია, ტომი 4, თბილისი, 2003 წ.;
9. ლორთქიფანიძე კონსტანტინე, ნატროშვილი გიორგი, „ქართული მოთხრობა“, თბილისი, 1963 წ.